

# ლიტერატურული გაზეთი

№21 (373) 8 - 21 ნოემბერი 2024

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

პაატა ნაცვლიშვილი

ზაზა ბიბილაშვილი

ნესტან ეგეტაშვილი

## სმა პოეტური

ბიჭები სვამდნენ ცისფერ ღვინოებს,  
ცისფერ ყანწებით, თავდავინყებით.  
სტიროდა სული შავ-თეთრ კინოებს —  
ხან დავმთავრდებოდა, ხან დავინყებით.

ქარს დაამტვრია მარტმა ტოტები,  
ქალაქში, მტვერში, ნამოდგა ბავშვი,  
ტაბიძის ტაბუს არ სცნობს ტოტემი —  
ბოროტ ყვავილებს ბესიკის ბაღში.

გაფიზი ამსხვრევს პრუდონის ვაზას,  
ორი ვაზარი არის იპონი,  
ატმის ყვავილებს კრიფავენ მწყაზარს  
ხელები, გულზე დასაკრიფონი.

მეც მათთან ვარ, მეც მათთან ვსვამ,  
ვარ გალემილი, ვარ დასალემი,  
მალა ავნიოთ ვინძლო თამასა,  
რომ ქვემოთ დაგვრჩეს ვარდი სილაში.

ხიდიდან ფენა თოვლის მოვარდის-  
ფერო ფანტელის, როგორც სიკვდილის,  
ლექს ჩვენ ვუნოდებთ მენყერს მოვარდნილს,  
ვნებას და შვებას სასომიხდილის.

სტიროდა სული ვიიონების, —  
ან დავმთავრდებოდა, ან დავინყებით,  
ვსვამდით ბიჭები ცისფერ ღვინოებს,  
ცისფერ ყანწებით, თავდავინყებით.

## ფაზლი (6)

### თავო ჩემო

ვერც დაგთმე,  
ვერც გამოგცვალე,  
ველარც მოგჭერ და  
მიგჭერ.

არადა,  
დიდი ხანია —

პერანგივით და  
ტრუსივით,  
წინდებივით და  
ჩუსტივით,  
მაისურივით,  
შორტივით,  
შარვალივით და  
ჯემპრივით,  
ბოტასივით და  
კედივით,  
ქუდივითა და  
შარფივით,  
ქურთუკივით და  
ქურტივით,  
ბათინკებივით —

მიჭერ.

## აზროდითეს საყურა

### ფრაგმენტი

#### მომავალი რომანიდან

კარს მამაკაცი გვიღებს — შუახნისაა, მაღალი,  
მოცურავსავით მხარბეჭიანი, თავზე ყურძნის  
მტევნების ოქროსფერი გვირგვინი ადგას. ხავერ-  
დოვანი ხმა თითქოს ყელიდან კი არა, განიერი  
გულმკერდიდან ამოდის. ფრანგულად ლაპარა-  
კობს, მაგრამ მალევე ხვდება, რომ არ მესმის და  
ინგლისურზე გადადის.

— ლეონარდო, — მეუბნება და ხელს მიწვდის.

— მეია, — თვალს მის გვირგვინს ვარიდებ და  
რატომღაც ვნითლდები.

პარიზში ვარ. ორი დღის წინ ჩამოვედი. ჩემი და-  
ბალების დღეა. პირველად არ ვარ 20 ნოემბერს სახ-  
ლში და ასე მგონია, ოცდათხუთმეტის კი არა, ერთი  
წლის ვხდები და ყველაფერი, ანუ ცხოვრება, თავი-  
დან იწყება. მეგობარმა, დიდი ხნის წინ ათენში რომ  
გავიცანი, ერთოთახიანი ბინა მიქირავა Rue des  
Martyrs-ზე. სახლის პირველ სართულზე, ქუჩის მხ-  
არეს, ძველისძველი საცხოვრებელი, ქუჩის მხ-  
არის ცხაურიდან კრუასანების სურნელი ამოდ-  
ის და მთელ სადარბაზოში ტრიალებს. მეორე სარ-  
თულზე ვცხოვრობ. ბინაში ორი დიდი ფანჯარაა,  
ორივე ქუჩას გადაჰყურებს და საღამოობით კაფე-  
დან, გარეთ სუფრაგადაფარებული მაგიდები და  
მონწული სკამები რომ უდგათ, დანა-ჩანგლისა და  
ჭიქების წკრიალი ისმის. მომწონს ფანჯარასთან  
მიდგმული საწერი მაგიდა. მიუფხედები ხოლმე და  
რომ არ ვიცი, რა დავწერო, სიმპათიურ მეზობელს  
წერილებს ვწერ. მესამე სართულზე უნდა ცხოვ-  
რობდეს. ორჯერ შემხვდა — ორივეჯერ სიმპათი-  
ურ ბრეტონულ სპანიელთან ერთად. რადგან არ  
ვიცნობ, ისევ ჩემს თავზე ვწერ და ეს წერილები ჩე-  
მივე თავის გაცნობაში მესმარება.

პიერსი ექვსი საათისთვის მაკითხავს და Chartier-ში  
მეპატიუება. მანამდე როდენის მუზეუმში მი-  
ვიღებ. ბაღში, მოაზროვნის შთამბეჭდავი ქანდა-  
კების წინ, დიდხანს ვზივარ. ნოემბრის მზეს ვეფი-  
ცხები და რაზე აღარ ვფიქრობ. გვერდით ახალგა-  
ზრდა წყვილი მიზის. ბიჭი მიყურებს და ელიმება.  
მაშინღა ვხვდები, რომ მეც მოაზროვნის პოზაში  
ვზივარ. უხერხულად ვიშმუშნები, ფეხზე ვდგები  
და ბაღში ვსეირნობ. მახსენდება, დიდი ხნის წინ აქ  
რატისთან ერთად რომ ვიყავი, ვიქტორ ჰიუგოს ქა-  
ნდაკებასთან, კლდეზე რომ ზის, ზურგს უკან მო-  
ჩურჩულე მშვენიერ მუზას გულისყურით რომ უს-  
მენს და წინ მარჯვენა ხელი აქვს განვდილი, სურა-  
თიც გადავიღე. ხელზე ხელი ჩავავლე და რატის მი-  
ვუბრუნდი, გადამიღე, იქნებ მუზეუმის ჩურჩული  
მეც გავიგონო-მეთქი. და სანამ მან აპარატი მოი-  
მარჯვა, იქვე გოგონებმა, ჩვენდა გასაკვირად, გა-  
დაგიღებთო, ქართულად შემოგვთავაზეს. ქართ-  
ველები იყვნენ და უეჭველია, ჩემი სიტყვებიც გა-  
იგეს. შემრცხვა. მერე ვიქტორ ჰიუგოსთან სურათი  
მე და რატის ერთად გადავიღეს. კარგად არ მახს-  
ოვს, მაგრამ, მგონი, ვიღიმი კიბორჩხალასავით გა-  
ნითლებული და მწერლის წინ განვდილი ხელი-  
სთვის ხელი არ მაქვს ჩავლებული. ალბათ ამიტო-  
მაა, რომ ვერაფერი დავწერე. სამაგიეროდ, დაცი-  
ლების მერე რატის დაუწყია წერა, რომანს ამთავ-  
რებსო, საერთო მეგობრისგან გავიგე.

პიერსი Chartier-ში მიყვარს. ჯერ escargot და ავ-  
ოკადო მოაქვთ მაიონეზიანი კრევეტებით, მერე —  
შემწვარი იხვი და კარტოფილი. Sauvignon Blanc-ს  
ვსვამთ და ბევრს ვიცინით. ვუტყდები, რომ ცხოვ-  
რების შეცვლა მინდა, ვგრძნობ, რომ მეცნიერება  
ჩემი საქმე არ არის. დასანანია, არადა ბოლო სტა-  
ტია ევრიპიდეს „ბაკქ ქალებზე“ ძალიან საინტე-  
რესო იყო, მეუბნება და მხრებს იჩეჩავს. იქიდან  
Montorgueil-ის ქუჩაზე, რაღაც ბარში მიყვარს,  
ფრანგულ კონიაკს მასინჯებს. ერთი ჭიქის მერე  
ვალბარებ, რომ მიყვარს ევრიპიდეც და მისი ტრა-  
გედიებიც, მაღლობელი ვარ ყველაფრისთვის, რაც  
მათზე მუშაობამ მომცა, მაგრამ ბედი სხვაგანაც  
უნდა ვცადო-მეთქი, ვიყინებ.

IV-V



VI-VIII

სამსახურში დიდიდანვე ცუდ ხასიათზე მივიდა და მუშაობაც მძიმედ წაუვიდა. დღის ბოლოს კი ავი წინათვრისა, რომელსაც ზურგს რამდენიმე კვირით ადრე საკადრო ცვლილებების შესახებ გავრცელებული ჭორები უმაგრებდა, გამართლდა. პავლე მუშაობდა, რომ დანინაურება, რომელიც ყველა იცოდა, ეკუთვნოდა და რომელსაც უკვე დღე-დღეზე ელოდა, განუსაზღვრელი ვადით გადაიდო, რადგან პოზიციაზე, რომელსაც ის უმიზნებდა, სხვა დანიშნულს. პავლეს ამჯობინეს უცხო ადამიანი, რომელიც ახალი გადამოსული, პავლეს მრავალწლიანი გამოცდილებისა და ღვაწლის მიუხედავად.

ამ ამბის შეტყობის შემდეგ მალევე მომიხეზა თავის ჯოჯოხეთური ტკივილი და ოფისიდან სამუშაო დღის დასრულებამდე ცოტათი ადრე გავიდა, თუმცა ბევრი იღბლიანისგან განსხვავებით, ვისაც რთული დღის შემდეგ ოჯახურ იდილიაში შეუძლია ნუგეშის მიღება, პავლეს სახლში მისვლაზე ფიქრიც კი გულს უმძიმებდა.

შეყვარებულთან ერთად ცხოვრობდა. ურთიერთობა, რომელიც ექვს წელზე მეტს ითვლიდა, უკვე მომნიჭებულიყო ქორწინებით საბოლოოდ განსამტკიცებლად, მაგრამ პავლე არ ჩქარობდა. ოჯახის შესაქმნელად, მისი აზრით, ჯერ მზად არ იყვნენ. პატარა ბინაში ცხოვრობდნენ და ხელფასი თვიდან თვემდე ძლივს ჰყოფნიდათ. უნდოდა, ქორწილისთვის მტკიცე ფინანსური საფუძველი შექმნილიყო. თავდაუზოგავად შრომობდა დანინაურების იმედით, რომელსაც ეს საფუძველი უნდა შეექმნა, თუმცა ამასობაში ურთიერთობას ბზარი გაუჩნდა.

ბინაში ფრთხილად შევიდა — თითქოს მართლა შესაძლებელი ყოფილიყო ასეთ პატარა ბინაში შეუმჩნეველად შესვლა. თეო, პავლეს საცოლზე, ტახტზე გულადმა იწვა, თავს ზევით ტელეფონი ეჭირა და სკროლა ვდა. პავლე სავარძელში ჩაჯდა და ფეხსაცმლის გახდა დაიწყო. იმედოვნებდა, რომ უსიამოვნო საუბარს კიდევ ცოტა ხნით თავს აარიდებდა, ამიტომ შეეცადა, უხასიათობა არ შეემჩნია, თეოს თვლეს არიდებდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, პირველივე შესაძლებლობისთანავე საძინებელში გაპარულიყო:

— მოხდა რამე? — კითხა თეომ.

ცალ ფეხზე გახდილმა პავლემ თავი ასწია და თეოს შეხედა.

— რატომ? — თქვა პავლემ, — რა უნდა მომხდარიყო?!

— მე რა ვიცი.

სიჩუმე ჩამოვარდა. პავლე ნამოდგა და თავი საძინებელს შეაფარა.

იმ დღეს თეოს აღარაფერი უკითხავს, პავლეს მოუხამულ ხასიათზე კომენტარის გაკეთება, როგორც ჩანს, დაეზარა, ან საჭიროდ არ ჩათვალა.

მომდევნო დღეს, პარასკევს, სამსახურში დააგვიანა და როცა მივიდა, ოფისში ისეთი ატმოსფერო დახვდა, თითქოს მისი დეპარტამენტი ახალი წლის ღამისთვის ამზადებდა სუფრას, ოღონდ გოზინაყის და ხაჭაპურის გარეშე. ახალი უფროსის დანიშვნა ცვლილებებს მოასწავებდა. მართალია, თანამშრომლებმა, განსაკუთრებით ძველებმა, გამოცდილებით იცოდნენ, რომ ასეთი ცვლილებები, როგორც წესი, მხოლოდ ზედამხედველ პოზიციურ გადათამაშებებს ნიშნავდა და თითქმის არასოდეს იწვევს ძირეულ ცვლილებებს, ყველა მაინც ფორიაქს აეტანა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგი თანამშრომელი ახალი უფროსისგან კორპორაციული ყოველდღიურობის გართულებას უფრო ელოდა, ვიდრე რაიმე ხეირს, განწყობა მაინც მხიარული და იმედიანი იყო.

ერთადერთი, ვისაც მხიარულების ნიშანწყალი არ ეტყობოდა, პავლე იყო. ეს აშკარა უგუნებობა თანამშრომლებმაც შენიშნეს, მაგრამ თეოსთან განსხვავებით, არც უყურადღებოდ დაუტოვებიათ (გუნებაში ყველამ სათითაოდ „მოინიშნა“) და არც მისი გამომწვევი მიზეზის გამოცნობა გასჭირვებიათ. უმეტესობა მათგანი პავლესთან ერთად წლების განმავლობაში მუშაობდა. არავისთვის ყოფილა საიდუმლო, რომ პავლე დანინაურების კანდიდატი იყო და ყველა ელოდა, რომ ეს დღე-დღეზე მოხდებოდა; მაღალი მენეჯმენტის მიღებულმა გადაწყვეტილებამ ბევრი მათგანი გააკვირვა, თუმცა პავლესავით არავინ დაუმზახებია.

ოღონდ პავლეს ოფისში მისვლამ საზეიმო განწყობა ვერ გაანელა, პირიქით, მხი-

არულებამ თითქოს ახალი ძალით იფეთქა. ცდილობდნენ, პავლესთვის არ მიენიშნებინათ მარცხზე, რომელიც განიცადა, და მისდამი, უნებლიედ, გულწრფელ კეთილგანწყობასა და ყურადღებას იჩენდნენ.

სამუშაო პროცესი, ფაქტობრივად, გაჩერდა. შუადღეს კურიერმა კომპანიის ხარჯით შეკვეთილი ტორტი და შამპანურის რამდენიმე ბოთლი მოიტანა, მაგრამ ახალი უფროსი ჯერ არ ჩანდა. ცოტა ხნის შემდეგ შიო მალაცია, მენეჯმენტთან დაახლოებული და მუდმივ კავშირზე მყოფმა კადრმა, ტორტის გაჭრის არაოფიციალური და ირიბი ნებართვა მიიღო. იგულისხმ-



ეს, რომ ნებართვა მარტო ტორტს არ ეხებოდა და შამპანურის ბოთლებიც მაშინვე დახსნეს. ტორტის ფაფური ნაჭრები პლასტიკის თევზებით ჩამორიგდა და პავლეს, რომელიც თავისი ადგილიდან არ წამოდგარა, მოუწია, ტორტზე, სხვადასხვა თანამშრომლის მიერ შეთავაზებულზე, რამდენჯერმე ეთქვა უარი. მაგრამ ბოლოს, როდესაც ოთახი დაიცალა, ვერ მოითმინა და სამზარეულოდან გადმოივალა ჟრიამულს და ჭიქების წკრიალის ხმას გაჰყვა.

სამზარეულოში აღარ გაჯიუტებულა და შამპანურის უკვე შევსებულ ჭიქაზე უარი არ უთქვამს — ჭიქით ხელში ჩუმად ამოუდგა გვერდით ამხანაგებს. ალკოჰოლმა საზეიმო განწყობა გააძლიერა. რადგან პარასკევი იყო, უკვე გადაწყვიტა მუშაობის შემდეგ სადმე გასვლა, ახლა იმაზე თანხმდებოდნენ, თუ რომელ ბარში გააგრძელებდნენ კომპანიაში მომხდარი ცვლილებების აღნიშვნას. მალე ყველა მიემხრო ბარს, სახელად „შავი ტახტი“, რომელსაც კომპანიის თანამშრომლები ისედაც ყოველთვის ირჩევდნენ ხოლმე ასეთი შეკრებების ადგილად.

პავლემ საქმეები მოიმიზეზა და ბარში ნასვლაზე უარი თქვა. თავის მაგიდასთან დაბრუნდა (მესამედ შევსებული ჭიქით) და შეეცადა, მუშაობა გაეგრძელებინა, თუმცა მალე სამზარეულოდან სათითაოდ გამოლაგდნენ თანამშრომლები და ოთახი ისევ მხიარულმა ყაყანამა მოიცვა. ბოლოს შიო მალაციაც გამოვიდა და თავისი წყაროს მიერ მოწოდებული ამბავი გამოაცხადა: ახალი უფროსი დღეს სამსახურში მოსვლას ვერ ახერხებდა, ძველ პოზიციაზე რაღაც საქმეები დარჩენოდა მოსაგვარებელი. შიოს გამოეჩინა ინიციატივა (იმედს იტოვებდა, რომ მის საქციელს არავინ გაამტყუნებდა) და თავისი წყაროსთვის გაემხილა საღამოს დაგეგმილი შეკრების შესახებ; ეთხოვა, დეპარტამენტის სახელით მიპატიჟებაც გადაეცათ. ერთი სიტყვით, იყო მანისი, რომ დეპარტამენტს ახალი უფროსი პირდაპირ „შავ ტახტი“ გაეცნო. შიოს საქციელი ყველამ მოუწონა — ყოველ შემთხვევაში უკმაყოფილება არავის გამოუხატავს. გამოითქვა აზრი, რომ ახალი უფროსის არაოფიციალურ გარემოში გაცნობა უშუალო ურთიერთობის თავიდანვე დამკვიდრებას შეუწყობდა ხელს.

პავლემ მესამე ჭიქაც ჩაქალა. უარი კი თქვა ნასვლაზე, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჰქონდა საბოლოოდ გადაწყვეტილი. ალკო-

ჰოლს, ყველა ის არგუმენტი, რომელიც პავლეს „შავ ტახტი“ ნასვლის წინააღმდეგ ჰქონდა, გაებათილებინა. ყველა სხვა ალტერნატივას კი სწრაფად აკარგინებდა მიმზიდველობას. სახლში ნასვლა ყველაზე მეტად ესიკვდილებოდა. თეო ალბათ მეგობარ გოგოებთან ერთად გაერთობოდა სადმე და პავლეს საღამოს მარტო გატარება მოუნევდა. ან, კიდევ უარესი, თეო სახლში დახვდებოდა და უსიამოვნო საუბრის საფრთხე დაემუქრებოდა.

სახლი გამოიცილა, მაგრამ სხვაგან სად უნდა წასულიყო? წლების განმავლობაში ყველა მეგობარი, რომელიც სამსახურ-

სკრიალის გაგონებაზე, პავლეს ცელოფნის პარკში შამპანურის ბოთლებმა რომ გაადინეს, ოფისის სკამებში მისვენებულმა მოხელებმა ერთმანეთს ღიმილით გადახედეს. თეო, გულწრფელად გახარებული იმის გამო, რომ პავლემ წყენა დაივიწყა და სინამდვილე, როგორც იქნა, მიიღო, წამოდგა და თვითონაც სამზარეულოსკენ გაემართა. შიოც, დარწმუნებული იმაში, რომ პავლეს ბოლმამ საბოლოოდ მოუთავა ხელი, მათ შეუერთდა. დანარჩენებიც, ექვსი კაცი, სამზარეულოსკენ წავიდნენ.

პავლე ერთ-ერთი ბოთლის გახსნას შეუდგა. თავი უსკდებოდა. დალევდა საერთოდ აღარ უნდოდა, მაგრამ უკან დასახვევი გზის მოძებნა გაუძნელდა. წარმოიდგინა, რომ სამზარეულოში მიატოვა შამპანურის ბოთლები (ხელფასის სადაც მათედი) და სახლში წავიდა. ამით საბოლოოდ გაამჭლავებდა თავის ნამდვილ განწყობას. ხასიათის ასეთ სისუსტეს გამართლება არ ექნებოდა. სასმელს თანამშრომლები პავლეს დაუმხარებლადც წამში მოუღებდნენ ბოლოს. უცნაურად სენტიმენტალური სურათიც წარმოუდგა — როგორ აკრეფდა, მოგვიანებით, ოფისის დამლაგებელი, მაგიდაზე მიტოვებულ ცარიელ ბოთლებს.

გულის საბოლოოდ აჩუყებაში შამპანურის საცობის ტკაცანმა შეუშალა ხელი. — რაღაც შენი სახე არ მომწონს, — უთხრა თეომ პავლეს, სანამ ის სასმელს ჭიქებში ანახლებდა.

— თავი მისკდება. თეომ თავი დააქნია, იმის ნიშნად, რომ კარგად ესმოდა მისი გასაჭირი. — თავი მეც მტკივა. რაღაც საშინელება დავლიეთ.

— ნაგავი იყო, — განაცხადა პავლემ, შევსებულ ჭიქას თითი მიუკაკუნა, — ეს, ნახავ, ბევრად უკეთესია.

— არ უნდა გავჩერებულყავით, — თქვა თეომ.

— ჰოდა, აი, გამოვასწოვებთ.

შევსებული ჭიქებით ისევ ოთახში დაბრუნდნენ და გამოსწორებას შეუდგნენ. პავლე წამხდარ ხასიათსა და თავის ტკივილს ებრძოდა. ამ პრობლემების მოგვარება ვერ მოახერხა, მაგრამ სულ ორიოდე ჭიქის შემდეგ მათი დავიწყება კი გამოუვიდა. სამივე ბოთლი გამოიცალა და ამავერად თეო წავიდა სასმელის საუფლოდ.

ცხადი გახდა, რომ მუშაობას აღარავინ აპირებდა. მომდევნო ერთი საათი თავის სკამში ჩამჯდარი პავლე (სამუშაო მაგიდასკენ ზურგით შებრუნებული) ცდილობდა, საუბარში ჩართულიყო, მაგრამ საუბრის ძაფი მუდმივად უსხტებოდა ხელიდან და ერთი-ორ, ისიც გაუგებარ და უადგილო, სიტყვას თუ ჩააკვებებდა ხოლმე. პავლეს საქციელი უხერხულობას ქმნიდა. თეომ შემფოთებით აკვირდებოდა, მაგრამ არაფერს ამბობდა. შიო ხშირად იხედებოდა კარისკენ და დურფანში ნაბიჯების ხმაზე ნახევარი ტანით მაგიდისკენ შებრუნდებოდა ხოლმე.

პავლემ შეამჩნია შიოს დაძაბულობა და გადაიხარხარა. სიჩუმე ჩამოვარდა და ყველამ პავლეს შეხედა, რომელმაც ბლუკუნით დაიწყო ანეკდოტის მოყოლა, ყოველი ორი სიტყვის შემდეგ ხარხარებდა და მუხლზე ხელს იტყავუნებდა. ანეკდოტის შინაარსის გაგება შეუძლებელი იყო, მაგრამ ყველა მაინც მიხვდა, თუ რას ჰყვებოდა, ცალკეული სიტყვებიდან — ანეკდოტში ლოსი, ლომი, საცობი და გამოქვაბული ფიგურირებდნენ. პავლეს თანამშრომლებმა ეს ანეკდოტი, პავლეს წყალობით, ზეპირად იცოდნენ. მოყოლა დასრულდა. პავლე ხარხარებდა, კინაღამ სკამიდან გადმოვარდა. თეომ წამოდგა.

— კარგი იყო, — თქვა შიომ.

— ცოტა ხო არ შევისვენოთ. ერთი-ორი საათი, — თქვა თეომ.

სასმელში, ზოგადად, კარგად ერკვეოდა და ახლა მოუნდა, კარგი შამპანური ყვიდა, თვითონ რომ უყვარდა ის ბრენდი; სხვებს შეიძლება, არ მოსწონებოდათ, მაგრამ კომპანიის ნაყიდ ათი თავით მაინც აჯობებდა. ოფისის ახლომხლო მალაზიეში ვერ იშოვა და ბევრი სიარული მოუხდა. ბოლოს, ნახევარი საათის ძებნის შემდეგ, იშოვა ალკოჰოლის ახლადგახსნილ მალაზიაში, იყიდა და ისევ ოფისისკენ გაემართა.

იმაზე ხანგრძლივი გასეირნება გამოუვიდა, ვიდრე ელოდა. ოფისის ლიფტში

ალმოაჩინა, რომ თავი უსკდებოდა, საზეიმო განწყობა კი ალკოჰოლთან ერთად გამონელებოდა. სანამ ლიფტი მეხუთე სართულს მიაღწევდა, მოასწრო, ეგრძნო სინანული საშუალოდ ძვირადღირებულ შამპანურში ფულის გადაყრის გამო. ვისთვის გამოიღო თავი? იმ ხალხისთვის, ვინც ნებისმიერ დროს მზად იყო, ზურგში დანა ჩაეცა მისთვის?!. ამ ბოლო აზრმა თვითონვე შეაშფოთა — ამხანაგებისთვის ასეთი რამის დაბრალება აშკარა გაზვიადება იყო. სამზარეულოსკენ ისევ სამუშაო ოთახის გავლით გაემართა.

წკრიალის გაგონებაზე, პავლეს ცელოფნის პარკში შამპანურის ბოთლებმა რომ გაადინეს, ოფისის სკამებში მისვენებულმა მოხელებმა ერთმანეთს ღიმილით გადახედეს. თეო, გულწრფელად გახარებული იმის გამო, რომ პავლემ წყენა დაივიწყა და სინამდვილე, როგორც იქნა, მიიღო, წამოდგა და თვითონაც სამზარეულოსკენ გაემართა. შიოც, დარწმუნებული იმაში, რომ პავლეს ბოლმამ საბოლოოდ მოუთავა ხელი, მათ შეუერთდა. დანარჩენებიც, ექვსი კაცი, სამზარეულოსკენ წავიდნენ.

პავლე ერთ-ერთი ბოთლის გახსნას შეუდგა. თავი უსკდებოდა. დალევდა საერთოდ აღარ უნდოდა, მაგრამ უკან დასახვევი გზის მოძებნა გაუძნელდა. წარმოიდგინა, რომ სამზარეულოში მიატოვა შამპანურის ბოთლები (ხელფასის სადაც მათედი) და სახლში წავიდა. ამით საბოლოოდ გაამჭლავებდა თავის ნამდვილ განწყობას. ხასიათის ასეთ სისუსტეს გამართლება არ ექნებოდა. სასმელს თანამშრომლები პავლეს დაუმხარებლადც წამში მოუღებდნენ ბოლოს. უცნაურად სენტიმენტალური სურათიც წარმოუდგა — როგორ აკრეფდა, მოგვიანებით, ოფისის დამლაგებელი, მაგიდაზე მიტოვებულ ცარიელ ბოთლებს.

გულის საბოლოოდ აჩუყებაში შამპანურის საცობის ტკაცანმა შეუშალა ხელი. — რაღაც შენი სახე არ მომწონს, — უთხრა თეომ პავლეს, სანამ ის სასმელს ჭიქებში ანახლებდა.

— თავი მისკდება. თეომ თავი დააქნია, იმის ნიშნად, რომ კარგად ესმოდა მისი გასაჭირი. — თავი მეც მტკივა. რაღაც საშინელება დავლიეთ.

— ნაგავი იყო, — განაცხადა პავლემ, შევსებულ ჭიქას თითი მიუკაკუნა, — ეს, ნახავ, ბევრად უკეთესია.

— არ უნდა გავჩერებულყავით, — თქვა თეომ.

— ჰოდა, აი, გამოვასწოვებთ.

შევსებული ჭიქებით ისევ ოთახში დაბრუნდნენ და გამოსწორებას შეუდგნენ. პავლე წამხდარ ხასიათსა და თავის ტკივილს ებრძოდა. ამ პრობლემების მოგვარება ვერ მოახერხა, მაგრამ სულ ორიოდე ჭიქის შემდეგ მათი დავიწყება კი გამოუვიდა. სამივე ბოთლი გამოიცალა და ამავერად თეო წავიდა სასმელის საუფლოდ.

ცხადი გახდა, რომ მუშაობას აღარავინ აპირებდა. მომდევნო ერთი საათი თავის სკამში ჩამჯდარი პავლე (სამუშაო მაგიდასკენ ზურგით შებრუნებული) ცდილობდა, საუბარში ჩართულიყო, მაგრამ საუბრის ძაფი მუდმივად უსხტებოდა ხელიდან და ერთი-ორ, ისიც გაუგებარ და უადგილო, სიტყვას თუ ჩააკვებებდა ხოლმე. პავლეს საქციელი უხერხულობას ქმნიდა. თეომ შემფოთებით აკვირდებოდა, მაგრამ არაფერს ამბობდა. შიო ხშირად იხედებოდა კარისკენ და დურფანში ნაბიჯების ხმაზე ნახევარი ტანით მაგიდისკენ შებრუნდებოდა ხოლმე.

პავლემ შეამჩნია შიოს დაძაბულობა და გადაიხარხარა. სიჩუმე ჩამოვარდა და ყველამ პავლეს შეხედა, რომელმაც ბლუკუნით დაიწყო ანეკდოტის მოყოლა, ყოველი ორი სიტყვის შემდეგ ხარხარებდა და მუხლზე ხელს იტყავუნებდა. ანეკდოტის შინაარსის გაგება შეუძლებელი იყო, მაგრამ ყველა მაინც მიხვდა, თუ რას ჰყვებოდა, ცალკეული სიტყვებიდან — ანეკდოტში ლოსი, ლომი, საცობი და გამოქვაბული ფიგურირებდნენ. პავლეს თანამშრომლებმა ეს ანეკდოტი, პავლეს წყალობით, ზეპირად იცოდნენ. მოყოლა დასრულდა. პავლე ხარხარებდა, კინაღამ სკამიდან გადმოვარდა. თეომ წამოდგა.

— კარგი იყო, — თქვა შიომ.

— ცოტა ხო არ შევისვენოთ. ერთი-ორი საათი, — თქვა თეომ.

სასმელში, ზოგადად, კარგად ერკვეოდა და ახლა მოუნდა, კარგი შამპანური ყვიდა, თვითონ რომ უყვარდა ის ბრენდი; სხვებს შეიძლება, არ მოსწონებოდათ, მაგრამ კომპანიის ნაყიდ ათი თავით მაინც აჯობებდა. ოფისის ახლომხლო მალაზიეში ვერ იშოვა და ბევრი სიარული მოუხდა. ბოლოს, ნახევარი საათის ძებნის შემდეგ, იშოვა ალკოჰოლის ახლადგახსნილ მალაზიაში, იყიდა და ისევ ოფისისკენ გაემართა.

იმაზე ხანგრძლივი გასეირნება გამოუვიდა, ვიდრე ელოდა. ოფისის ლიფტში

— შევისვენოთ, თუ გინდა დავისვენოთ! მაგრამ რა დროს დავისვენოთ! — თქვა პავლემ და ხელები უაზროდ გაშალა.

— ხო, ეგრე ვჯობია, — თქვა თემომ, თან პავლეს მხარში მოკიდა ხელი, ისიც მორჩილად წამოდგა, — ცოტა წაუძინე და მალე ხოდზე იქნები.

დანარჩენებიც წამოდგნენ — შესვენების იდეას ყველა მიემხრო.

— სად წაუძინო? — იკითხა პავლემ და ოთახს მოავლო თვალი.

— ნამო, ნამო სახლში. ტაქსი მოვიდა. თემომ პავლე ტაქსამდე მიაცილა და ჩაჯდომამდე დაეხმარა. გზაში პავლეს გაახსენდა, თუ რატომ არიდებდა სახლში მისვლას თავს, მაგრამ პროტესტისთვის გვიანი იყო და დიდად აღარც ანაღვლებდა რამე. მალე ტაქსიმ სახლთან მიიყვანა. პავლემ კარზე ბრაგუნა ატეხა.

— რა უბედურებაა, რა ხდება. — არაფერი უბედურება არაა, — თქვა პავლემ, თან ფეხსაცმლის გახდას ცდილობდა. თეო მკაცრად აკვირდებოდა მის უმნებობას.

— უკაცრავად? რას დავაბრალო ეს მდგომარეობა?

— რა მდგომარეობა... — თქვა პავლემ და ცალი ფეხსაცმელი მოისროლა, — არაფერი მდგომარეობა არაა.

— შენი აზრით, ასე გალემუვა ექვს საათზე არაა „მდგომარეობა“?

— ვინ არის გალემული? მე ვარ გალემული? — თქვა პავლემ. უკვე ორივე ფეხსაცმელი გახდილი ჰქონდა, ფეხების ტყაპა-ტყუპით წაინია თეოს კენ. უნდოდა, ხელები მოეხვია, მაგრამ ის ხელიდან დაუსხლტა.

— ფუ, ყარხარ. — პავლე უსიტყვოდ წავიდა საძინებლისკენ და გაუხდელად, პირდაღმა მიეგდო საწოლზე.

— გავდივარ, — გამოსძახა თეომ მისაღებნიდან.

— სად გადიხარ?

— თამოს და გოგოებს ვნახავ. რას აღნიშნავდი?

— პავლემ არ უპასუხა. იატაკზე მლოლავ მწერს მიშტერებოდა.

— გესმის? რა ხდება ოფისში?

— არაფერი.

— რამე აღნიშნეთ?

— რაღა მე.

— არ იცი, რა აღნიშნე?

— გასასვლელად გამონწყობილი თეო ზღურბლზე გამოჩნდა.

— პაო.

— პავლეს უკვე ეძინა, თეომ მის ხრინწიან ფშვინვას წამით მიაყურადა, შემდეგ გაბრუნდა და ბინიდან კარის ჯახუნით გავიდა.

\*\*\*

პავლეს გაეღვიძა. თავი უსკდებოდა, ოთახი ალკოჰოლის ამონასუნთქით ყარდა. შუქი რატომღაც ენთო. მისაღებში ვიღაცა ბრაგუნობდა, რაღაცას დაათრევდა. ცალ ხელზე წამოინია და ოთახს თვალი მოავლო. კარადის კარი ღია იყო, ძირს ტანსაცმელი ეყარა. წამოდგა, ზღურბლამდე მილასლასდა და უაზროდ მიაჩერდა სცენას მისაღებში:

თეო დივანზე დახვავებულ ტანსაცმელს სწრაფად და უწესრიგოდ ყრიდა ორ ჩემოდანში, რომლებიც ფეხებთან ეწყო. პავლეს გამოჩენისას თავი არ აუნწევია, კიდე უფრო სწრაფად განაგრძო ტანსაცმლის ჩემოდნებში ჩაყრა. თვალის უპეები შავად გასდებნოდა.

პავლეს თავის ტკივილმა უმატა. ჩასისხლიანი თვალები მოიფშვნიტა და თეოსკენ ნაბიჯი გადადგა.

— ახლა რაღა მოხდა?

— თეომ არაფერი უპასუხა.

— შენ გეკითხები, — ხმას აუნია პავლემ.

— კიდე შენ მეკითხები?!

— ხოო, მე გეკითხები, რა მოხდა-მეთქი.

პავლე მისაღების შუაში იდგა. ელოდა, როდის ამოიღებდა ხმას თეო, მაგრამ ის ჩუმად იყო. პავლეს მოთმინება ელეოდა. ნელა მიუახლოვდა თეოს და ერთ-ერთი ჩემოდნიდან ამოშვერილ ტანსაცმლის გორას ფეხი მიკრა. ტანსაცმელი იატაკზე გადაიყარა. თეო, პავლესთვის მოულოდნელად, ჩემოდანს გადაეფარა და საზარლად დაინივლა:

— გაეთრიე.

პავლემ უკან დაიხია.

— შენ, გოგო, ცუდად ხო არ ხარ?!

— ცუდად შენ ხარ და ცუდად ვინ იქნება აწი, ვნახავთ.

— იტყვი, ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა?

— თამო ვნახე.

— ვინ თამო ნახე?

— ხო გითხარი, გავდივარ-მეთქი. ვინ თამო უნდა მენახა? თამო არ იცი?

— ვიცი... მერე?

ჩხუბი ხშირად მოსდიოდათ, მაგრამ ბოლო დროს, მოახლოებული გარდატეხის მოლოდინში, თითქოს გაუმჯობესება



ემჩნეოდა მათ ურთიერთობას. პავლესთვის ეს უცნაური აფეთქება მოულოდნელი იყო და განსაკუთრებით უსიამოვნო იმით, რომ ჯოჯოხეთურ თავის ტკივილს და სამსახურის პრობლემებს ემთხვეოდა. ბუნდოვნად გაახსენდა ოფისში გატარებული საათები, კარიერული ფიასკო... და უცნებ, თითქოს სასწაულებრივად, პავლეს გონებაში ყველაფერი თავის ადგილას დადგა. კედელზე ჩამოკიდებულ საათს შეხედა. მისი სახლში დაბრუნებიდან ამ დრომდე საათი ნახევარი, მაქსიმუმ ორი საათი თუ იქნებოდა გასული. თეო ნაჩქარევად დაბრუნებულყოფილ მეგობრის შეხვედრიდან.

— და რაო მერე თამომ? — ტონი შეარბილა.

მაგრამ ამაზე პასუხი უკვე იცოდა. თეო და თამო უკვე წლებია, ახლო მეგობრები იყვნენ და მათი ურთიერთობის თითქმის ყოველდღიურობას, ჩვეულებრიობას, თითქმის დავეინიჭებინა პავლესთვის, რომ თამო და შიოს ცოლი თანამშრომლები იყვნენ.

— ამჯერად რა ჩავანვეთა? — ჩაეკითხა ისევ, რადგან თეო არ პასუხობდა, გააფთრებით ცდილობდა ერთ-ერთი ჩემოდნის დაკეტვას, — და ან მაგას ვინ რა ჩაანვეთა?

— გცოდნია ყველაფერი, — თქვა თეომ ქოშინით.

— რა მცოდნია?

— რა და რასაც ბოლოს გავიგებდი მე, თამო რომ არა. ყველაზე ბოლოს... — თქვა თეომ, ჩემოდანს თავი მიაწედა და ატირდა.

პავლე დივანის კიდეზე ჩამოჯდა. შეეცადა, მოეძებნა სიტყვები ქალის დასამშვიდებლად, სანუფაგეტებლად, მოსაბოდიშებლად. უნდოდა, ზუსტად გაეგო, თუ რა სახით მიაღწია პავლეს კარიერული მარცხის ამბავმა თეომდე, მაგრამ საჭირო სიტყვებისა და ტონის მოძებნაში ბრაზი, ალკოჰოლითა და თავის ტკივილით დაბინდული გონება უშლიდა ხელს და კიდე რაღაც, პავლესთვის უცხო, მძიმე შეგრძნება, რომელიც დილიდან იკრებდა ძალას. კაცის ბორძიკი და ზოზინი თეოს კიდე უფრო აცოფებდა და კითხვებს მოკლედ და აგდებულად, ან სულაც გააფთრებული დუმილით პასუხობდა. პავლეს მცდელობების მიუხედავად (იმის ნიშნად, რომ თავისი შეცდომის გამოსასყიდად ყველაფრისთვის იყო მზად, ერთ-ერთი ჩემოდნის დაკეტვაშიც კი მიეხმარა), თეომ ნახევრად ჩალაგებული ჩემოდნები სადარბაზოში გაათრია; ტაქსი უკვე ქვემოთ ელოდა. ტანსაცმლის ნაწილი, რომელიც ჩემოდნებში ვერ ჩაატოეს, დივანზე დარჩა.

პავლე არეულ მისაღებში დაბრუნდა. თეოს მიყრილ-მოყრილი ტანსაცმელი თითქოს პირობა უნდა ყოფილიყო იმისა, რომ ქალი, სულ ცოტა ერთხელ მაინც, ისევ დაბრუნდებოდა, მაგრამ ეს ნუგეშისცემის ნაცვლად სასონარკვეთის შეგრძნებას უმაფრებდა. ერთხანს სამზარეულოში ეძებდა ტკივილგამაყუჩებელს, მაგრამ წამლებში თეო ერკვეოდა და პავლემ არ იცოდა, რომელი წამალი დაეღია. ძებნას შეეშვა და ჩამოჯდა. ერთხანს უძრავად იჯდა — ნელ-ნელა, როგორც პოლაროიდის ფირზე ალბეტილი კადრი, მდგომარეობის სი-

მძიმე მთელი სიცხადით დაუდგა თვალწინ. ერთხანს ასე იჯდა, შემდეგ თითქოს უცებ გამოერკვა, საძინებელში გავიდა და სანოლზე მიგდებული ტელეფონს დახედა. რამდენიმე გამოტოვებული ზარი ჰქონდა — სამი თემოსგან, ორი შიოსგან. ორივესთან დარეკა, მაგრამ არცერთმა უპასუხა. უკვე გვიანი იყო გარეთ გასასვლელად, ან, უფრო სწორად, სხვა, ჩვეულებრივი პარასკევს იქნებოდა გვიანი. მით უმეტეს, თანამშრომლების შეკრებაზე წასასვლელად — ასეთ დროს კორპორაციული შეხვედრები, როგორც წესი, დასასრულს უახლოვდება ხოლმე, მაგრამ მაინც გასვლა გადაწყვიტა. შეძლებისდაგვარად მოწესრიგდა — სახეზე წყალი შეისხა, პერანგი გამოიცვალა და სახლიდან გავიდა.

გზაში კიდე რამდენჯერმე დაურეკა თანამშრომლებს, მაგრამ პასუხი ისევ ვერ მიიღო. „შავ ტახში“ თვალების ცეცებით შევიდა და შვება იგრძნო, როდესაც ერთ-ერთ მაგიდაზე თემო შეამჩნია. შიოც აქ იყო, კიდე ერთი-ორი თანამშრომელი და ვიღაც უცნობი კაცი. სანამ მისასალმებლად მიუახლოვდებოდა, მოასწრო შეეთვანოდა, დახედა — უცხო რაღაც იყო, უცნაურ, სპილენძისფერ კარკასს წვრილი ჩუქურთმები ამშვენებდა, ასანთები მექანიზმის უცნაური ჰქონდა.

— მაგარია, არა? — თქვა შიომ, — პირველად ვინანე, რომ არ ვენწევი.

— მაიცა, გაჩვენო, — თქვა თემომ, — სანთებელა გამოართვა და აანთო, — ჩვენ უკვე დავუშულამეთ.

— ფრანგულია, მეოცე საუკუნის, — თქვა შიომ.

— ფრანგული? — თქვა პავლემ.

— ჰო, ისეთი არაფერია, პროსტა მარუქეს და რაღაცნაირად, ძალიან მივეჩვიე. აკვირდებოდი ნივთია...

— ალბათ რომანტიკული ამბავია, — თქვა პავლემ.

— არა, — გაცივინა ვახომ, — საფრანგეთის ელჩმა მარუქა.

პავლე გაღიზიანდა, სანთებელა პატრონის დაუბრუნა. ამ საკითხს აღარ ჩასძიებია. თავიდან უხმოდ ეწეოდნენ. შემდეგ საუბარი სამსახურზე და სამუშაო გამოცდის შესახებ ჩამოვიდა: ვინ სად მუშაობდა, ვინ რამდენი წელი იმუშავა, ვინ რა პროფესიება ვახოს ჰქონდა და ძირითადად ის ლაპარაკობდა. შიო, რომელიც ყველაზე ახალგაზრდა იყო, ყურადღებით უსმენდა საუბარს. ვახომ მოახერხა და საუბარში პავლეს ჩართო. პავლემ უხალისოდ, პირქუშად ჩამოთვალა გამოვლილი სამსახურები.

პრობლემები ვინმესთვის მოეყოლა, იქნებ რჩევაც მიეღო. ამას თემოს გარდა ვერავისთან მოახერხებდა. ოღონდ შიო და ვახო წასვლას არ ჩქარობდნენ. პავლე ელოდა, რომ ახალი უფროსი მაინც თავის ვალს მოხდოდა ჩათვლიდა და გაიძულებოდა, რადგან შეკრება, პავლეს პირველი შთაბეჭდილებით, დასასრულს მიახლოებოდა.

— არ დალეე რამეს? — კითხა ვახომ.

როგორც ჩანს, არსად აპირებდა წასვლას. თავს მშვენივრად გრძნობდა თემოს და შიოს საზოგადოებაში, მართლა კარგდროს ატარებდა და ამიტომაც არ ჩქარობდა წასვლას. მას ახალგაგონებულ თანამშრომლებთან უკვე მოესწრო საერთო ენის გამოხატვა. ერთმანეთს არა მარტო „შენობით“ მიმართავდნენ, კარგა ხნის მეგობრების შთაბეჭდილებასაც ტოვებდნენ.

თეოსთან უცნაურდ მომხდარ ჩხუბს პავლე მთლიანად მოეცვა. ბარში მოსვლამდე მისი ფიქრები მთლიანად ამ განხეთქილების ირგვლივ ტრიალებდა — თეოსთან გატარებული წლების ირგვლივ, რომელთა მეტწილად ნაცრისფერი კომფორტი ახლა სამოთხედ ეჩვენებოდა; და იმ სრულიად უცნობი, პირქუში მომავლის ირგვლივ, რომელსაც თეოს გარეშე უნდა შეხვედროდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც თანამშრომლების მაგიდას მიუჯდა, მიხვდა, რომ თავისი პრობლემების სათავესთან დაბრუნდა.

— რამეს ავიღებ და მოვალ.

წამოდგა და ბარისკენ წავიდა „ნეგრონის“ შესაკვეთად. არ შეუმჩნევია, როგორ გააყოლა თემომ შემუფთოებული მზერა.

მაგიდასთან დაბრუნების შემდეგ ძირითადად ჩუმად იყო, კოქტილს პატარ-პატარა, მაგრამ ხშირ-ხშირი ყლუპებით სვამდა და ხან ერთ თანამეინახეს აშტერდებოდა დაჟინებით, ხან მეორეს. შიოც საკმარისად მთვრალი იყო და ამიტომ პავლეს საერთოდ აღარ აქცევდა ყურადღებას. ვახოც მშვიდად, კეთილგანწყობით იღიმოდა, საუბარი ძირითადად მას მიჰყავდა. თავის მდიდარ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე ჰყვებოდა. ერთი ანექდოტიც კი მოყვა, რომელზეც, სხვა სიტუაციაში, პავლესაც კი გაეცინებოდა.

ანექდოტის შემდეგ ვახოს და თემოს მონვეა მოუნდათ.

— თქვენ ენეეთ? — კითხა ვახომ პავლეს.

— მარტო წასვამზე.

— მეც ეგრე ვარ.

— ნახევარ-ნახევარი ჰაჩუა უკვე მოეწიეთ, — განაცხადა თემომ, — ნუ, შიოს გარდა.

პავლეს სიგრილე ესიამოვნა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე პირველი საათი იქნებოდა, ქუჩა ხმაურობდა, „შავი ტახის“ წინ მანქანების გრძელი საცობი იდგა და ხალხი ირეოდა. პავლეს სიგარეტი ვახომ მისცა, რადგან თავისი არ ჰქონდა და სანთებელაც მან გაუნთოდა. პავლემ სანთებლის სასიამოვნო სიმძიმე იგრძნო. სანამ მოუკიდებდა, დახედა — უცხო რაღაც იყო, უცნაურ, სპილენძისფერ კარკასს წვრილი ჩუქურთმები ამშვენებდა, ასანთები მექანიზმის უცნაური ჰქონდა.

— მაგარია, არა? — თქვა შიომ, — პირველად ვინანე, რომ არ ვენწევი.

— მაიცა, გაჩვენო, — თქვა თემომ, — სანთებელა გამოართვა და აანთო, — ჩვენ უკვე დავუშულამეთ.

— ფრანგულია, მეოცე საუკუნის, — თქვა შიომ.

— ფრანგული? — თქვა პავლემ.

— ჰო, ისეთი არაფერია, პროსტა მარუქეს და რაღაცნაირად, ძალიან მივეჩვიე. აკვირდებოდი ნივთია...

— ალბათ რომანტიკული ამბავია, — თქვა პავლემ.

— არა, — გაცივინა ვახომ, — საფრანგეთის ელჩმა მარუქა.

პავლე გაღიზიანდა, სანთებელა პატრონის დაუბრუნა. ამ საკითხს აღარ ჩასძიებია. თავიდან უხმოდ ეწეოდნენ. შემდეგ საუბარი სამსახურზე და სამუშაო გამოცდის შესახებ ჩამოვიდა: ვინ სად მუშაობდა, ვინ რამდენი წელი იმუშავა, ვინ რა პროფესიება ვახოს ჰქონდა და ძირითადად ის ლაპარაკობდა. შიო, რომელიც ყველაზე ახალგაზრდა იყო, ყურადღებით უსმენდა საუბარს. ვახომ მოახერხა და საუბარში პავლეს ჩართო. პავლემ უხალისოდ, პირქუშად ჩამოთვალა გამოვლილი სამსახურები.



**ზაზა ბიბილაშვილი**  
**ფაზლი (6)**

განვიცდი მუდამ მტკივნეულად  
ქვეყნის გასაჭირს.

თუმცა სულ ოდნავ  
განვსხვავდები კიდეც იმათგან:

ამ დროს სამშობლოს  
ვერაფერს ვშველი.

52

მთელმა  
განვლილმა  
ცხოვრებამ  
თვალწინ  
ჩამირბინა.

ალბათ  
ამას იზამს  
დანარჩენიც.

იმას რატომღა ვიცხოვრებ  
ვითომ?

\*  
შინ — არაფერი,  
გარეთ — არავინ.

რაში დამხარჯე?  
სად წამიღე?  
რა ჯანდაბას გადამაყოლე?

\*  
ცუდად ვფხიზლობ,  
ნაკუნ-ნაკუნ.  
კომპარები მეცხადება.

კიდეც კარგი, რომ  
ყველაზე კრიტიკულ მომენტებში,  
როცა საშველი თითქოს აღარ ჩანს,  
მახსენდება, რომ ცხადია,  
მახსენდება, რომ დავიძინებ და  
ყველაფერი კარგად იქნება.

ჰოდა,  
ექიმო...

\*  
მარტო ვიდექ —  
დამიძახეთ —  
ჩამოვფექი —  
დაგინახეთ.

\*  
შენ რა გენალვლება:

ერთ გულში დაგჭრიან —  
მეორეს მიუშვერ.

\*  
გული გამეგლიჯა!  
გული გამეგლიჯა!  
გული გამეგლიჯა!  
—  
ეს პოეზია არ არის.  
ეს ინფორმაციაა,  
თანაც — ცრუ.

**ქსაღები და ლექსები**

სიძუნწე რა საკადრისია —  
უბრალოდ, რა საკადრისია —  
ორასლაიქიანს  
ოცლაიქიანმა  
გასწავლო რამე?

\*  
ნუთუ ახალი ტელესკოპით გადაღებული  
და დღეს მედიით გავრცელებული  
ფოტოკოლაჟი კოსმოსიდან  
ჯერ არ გინახავს,

გუშინდელივით  
რომ მეტანები  
საკბენად,  
კოლოვ?

\*  
ბევრი ბუზი ბზუისო —  
რა დროს რამის რიდია —

\*  
ბობოქარ და უღმობელ დროში  
სიმართლემ მითხრა:  
ჩემთან მოდი,  
მე დაგმალავ,  
მე გადაგარჩენ!

დავუჯერე.  
და კარგიც ვქენი:

მართლაც —  
არავის არასოდეს  
მოვეუკითხივართ.

\*  
ჩემი ყველა პარალელური ცხოვრება  
ისეა გაძეცილი  
დიდი და ბედნიერი ამბებით —  
რომ განახათ  
ან რომ მანახა,  
აუცილებლად იტყოდით  
ან ვიტყოდით:

აბა, რაღა გინდა  
ანუ რაღა მინდა —  
ყველა როგორ გამოვიდოდა —  
ამდენიდან  
ერთი ხომ მაინც უნდა  
ჩაფლავებულიყო?

\*  
არც რამემ ართოს.  
არც რამე მართოს.  
არც რამე ემართოს.

უშენო ყოფნა,  
უბრალო ყოფნა  
აცალე მარტოს.

მშვიდობა სხვათა  
ქობთა და სრათა,  
გზა-მიმოსვლათა.

ეგ იყოს მარტო.  
რატომ და — მარტო  
არ იყოს რათა.

\*  
სიზმარო, შენ რას გერჩი:  
კარგი — კარგი ხარ და  
ცუდიც — მალე რჩები.

ისე,  
ან შენ რაღას გერჩი,  
ცხადო.

\*  
ადამიანთ ძალღურ ყოფას —  
ძალღურ ყულფს და ძალღურ ყეფას —  
ღმერთი ალბათ სიზმრად ხედავს,  
უკვე წყალს თუ არ უყვება.

\*  
ყოვლისშემძლეა,  
აბა რა არის —  
ისიც კი შეძლო,  
გვეთქვა:  
არსებობს!

**ხდება სოფლი**

დაღლილმა  
შრომით, ბრძოლით, ცხოვრებით  
ყველაფრისგან დასასვენებლად  
უცხო, უკაცურ ხეივანში გაისეირნო.  
ცოტა ხანში კი  
საიდანღაც გამოცვივდნენ ავი ძაღლები —  
დასაგლეჯად გამოგეკიდონ.

ანდა დაღლილი  
ზუსტად ისე და იმავეით  
ყველაფრისგან დასასვენებლად  
სასეირნოდ ჩამოხვიდე დედამიწაზე.  
მერე კი  
ზუსტად იგივე მოხდეს.

**პენიონისტური ლექსი**

ადრე  
ასეთ ლექსს დანერდი და  
პოეზია ერქვა,

და არა ახლანდელივით —  
წინასწარმეტყველება —

აუცილებლად რომ ახდება,  
რომც არ დანერო.

\*  
ძალიან ვგავარ  
დიდ წინაპრებს:

ფუტკართან თუ ტყუისო —  
სულ ფეხებზე ჰკიდია.

\*  
მე  
ან სიმართლეს ვამბობ,  
ან ჩუმად ვარ —

გაიფიქრა თევზმა.

**მტრადი**

მშვიდობის ელჩო,  
ხსნის ნიშანო,  
შეების მეგზურო,

თბილად და ტკბილად  
მოღულუნე  
ყველგან, ყოველთვის,

ამ სისხამდელით  
საძინებლის  
ღია სარკმელთან

ასე რად ღმუი?

\*  
თუ გააღებ  
გალაღებულ ქარში კარს,  
ვერ დაიჭერ  
გამოღებულ კარში ქარს.

**მთვარე**

რამე სამარტოე ტივი —  
განა გემი დიდებული.  
წყალში არა — პოეტით  
ცაში გამოკიდებული.

**მთვარე 2**

თუ ვერ ანათებ,  
მზე აირეკლე.

**შენ და პირგადი**

სასწაული აკი ხდება —  
რალაც შენც კი არ გიხდება.

**სამი ერთში**

უშენო  
უ(შ)ენო  
უშ(ე)ენო  
ვარ.

\*  
ჰელოუ, ინგრიდა!  
ჰელოუ, სონია!  
ჰელოუ, ნინია!

დღეს ისე შიგნიდან  
ანათებთ — მგონია,  
ჰელოუინია!

\*  
— ახალგაზრდა ვარ.  
არა გჯერა?

— რალა თქმა უნდა. —  
შენი ხნისას ხომ  
ტყუილებიც დაეჯერება.

\*  
ასე ნუ დარდობ,  
დღევანდელი ფოტოპორტრეტო —

სულ რამდენიმე წელიწადში  
მოეწონები.

ჩემი არ გჯერა? —  
ახალგაზრდა წინაპრებს ჰკითხე.

\*  
მგონი,  
ყველაფერი  
ტყუილი არ ყოფილა,

მგონი,  
სიბერე  
მართლა არსებობს.

და უკვე იმასაც ვეჭვობ,  
რომ ეს ამბავი  
სიბერით  
არ დამთავრდება.

\*  
დროც, ცოტა მაინც დამითმე —  
განა რამდენი დაგიტოვია? —  
ასე ჩქარა ნუ გარბიხარ —  
სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია.

**პაპალა**

სამი დღეო —  
ღმერთმა.

ბევრიო —  
ჩიტმა.

**უკანასკნელი სისულელე**

წავიდე,  
მოვკვდე,  
ალარსად ვიყო.

\*  
ახლა კიდევ —  
უნდა მოკვდეო...

ასეთ სისულელებში  
გადის ცხოვრება.

\*  
ჰო, მენანები,  
ჩვენო სიცოცხლეც,  
ჩვენს ხელში.

შენ ხომ — ორმაგად —  
ჩემო სიცოცხლეც,  
ჩემს ხელში.

\*  
მომავალ ცხოვრებაში  
დაფასდება პოეზია.

იმედია, მართლა.

თორემ ხომ ვიცი,  
იქაც პოეტი გამოვალ.

\*  
სურვილი მუცელს გადაჰყვა,  
ოცნება ვერც კი დამაკდა.

ერთი სიცოცხლე არ მეყო —  
სამი თუ ოთხი დამაკლდა.

**ღვთის სამსჯავრო**

სიტყვა ეძლევა მოპასუხეს.  
გისმენთ, უფალო.

\*  
ეს რა ქენი:

ისე მოკალი,  
როგორც ერთ-ერთი —  
მრავლის ურიცხვზე უთვალავი  
ყოფილ-ახლანდელ-მომავალიდან

და არა —  
როგორც ერთადერთი,  
სულ ერთადერთი,  
აბსოლუტურად ერთადერთი —  
თავის თავს შორის?

**პიტიპია**

და — აზრი?



\*\*\*  
როცა ადამიანს აშენებ,  
კედლებში მზე უნდა ჩააყოლო,  
ჩაადულაბო...  
რომ მერე თავი ააბრწყინოს,  
შენც ჩაგათბოს...  
აგასინათლოს...  
როდესაც ადამიანს აშენებ,  
მთვარე ჩაკირე ზურაბივით,  
რომ თავი ხშირად აანადვლოს,  
შენც გაგდარდოს ან აგასევედოს...  
გზა გაიყვანე მის კარამდე,  
გზაც არ ეთქმოდეს...  
ბნელი ნათელი დაანვიმე მის სამოსახლოს...  
ჩასძახე ფუძეს:  
„ფიქრმა გზას და ფიქრმავე გკვებოს“...  
ფიქრით „დანყველე“ ბალავარი...  
ფიქრით „დანყველე“ ბალავარი...  
ფიქრით „დანყველე“ ბალავარი,  
ადამიანს როცა აშენებ...

\*\*\*  
რა გადაგვარჩენს,  
თუ არა უნარები მშენებელ-კონსტრუქტორის,  
იქ, სადღაც,  
გონებაში გათხრილ საძირკველზე რომ აგაგებინებს  
სხვა სახლს...  
სხვა ქვეყანას...  
სხვა სამყაროს...  
რა გადაგვარჩენს,  
თუ არა დიზაინერის უცხო ხედვა.  
იქ, დაჭერილ სივრცეში,  
რომ მოგაწყობინებს ჩამთბარ ანტურაჟს...  
რა გადაგვარჩენს,  
თუ არა გამოგონებლის შემართება...  
შენს სახლში რომ ჩაგასახლებინებს უფრო შენიანს...  
შენზე შენიანს...  
რა გადაგვარჩენს,  
თუ არა გადარჩენის  
გადამრჩენლები.

\*\*\*  
როცა სიტყვა გესხივება,  
გეშუქება, გესახლება...  
მაშინ შენი „უსახლობაც“  
სახლობს, „შინად“ გესახება...  
მაშინ სწვდები სივრცის სიღრმეს,  
მაშინ გატკობს შენ „შენობა“,  
როცა წვიმს და როცა წვეთი  
ანგრევეს მიწის ნაშენობას...

\*\*\*  
მიწის ნაპრალებმა,  
ზეცის შუქიანმა ნასვრეტებმა  
შეიტყუეს ჩემი დღეები:  
ერთმა — სინათლით,  
მეორემ — იდუმალებით...  
ვდგავარ ახლა დაბნეული და  
წამის ტევადობის გაზრდას ვცდილობ...  
ძილს ვაბრუებ ვაჭრის სარფიანი გარიგებით:  
ერთი ჭიქა ყავის ფასად ორი საათი...  
რატომ მეგონა ეს დრო ჩემი  
მუჭიდან ჩაბნეული მარადისობა?!

\*\*\*  
ვერ შემოვსაზღვრე ჩემი წილი სამოსახლო...  
მზე ვერაფრით შემოვიტყუე...  
ვერ გავაფუე მიწა ისე,  
რომ ჩემი სახლის საძირკველი ამომეწვერა...  
ვერ მოვიხელთე ამ სამზეუს სულშესაფარი,  
სხვანაირად ჩასათბუნად, ჩასაყურებლად...

დასაწყისი პირველ გვერდზე

— იცი, რას გეტყვი, — სერიოზული სახით მიყურებს და მეც ვიძახები, რჩევის მოსასმენად სკამზე მოხერხებულად ვენყოფილი, — ჩემს მეგობრებს სახლში წვეულება აქვთ. ხომ არ წავიდეთ?

წავიდე-მეთქი, ვეთანხმები. ყვავილებსა და სასმელს ვყიდულობთ და მეტროში ჩავდივართ.

— პარიზის მეტრო ჩემთვის ამოუცნობი ლაბირინთია, — პიერს ვეუბნები, — ყოველთვის, როცა აქ ვხვდები, ისეთი შეგრძობა მაქვს, თითქოს გამოქვაბულიდან თავი პირდაპირ ოცდამეტრეთ საუკუნის პარიზულ მეტროში ამოვყავი.

მერე ვუყვები, ნების წინ მე და რატი როგორ ავიბლანდეთ მეტროს ხაზებში და ლათინური კვარტლის ნაცვლად გარეუბანში როგორ აღმოვჩნდით.

— გიყვარს? — მეკითხება.

— ვინ? — მიკვირს.

— აბა, ვინ არის რატი, სულ მას რომ ახსენებ?

არაფერს ვპასუხობ. ესკალატორზე, ლარებს შორის, რაღაც ბრჭყვიალებს, ვიხრები და ხელში ვიღებ. საყურეა. არასდროს არაფერი მიპოვნია-მეთქი, პიერს ვუყურებ.

— ვის გაუგია დაბადების დღე საჩუქრის გარეშე? — იცინის.

არც ვაკვირდები, საყურეს ჩანთაში ვაგდებ და Saint-Germain-des-Prés-ის ქუჩებში პიერთან ერთად გავდივარ. მოზუზულები ვართ. ცივა. ნოემბრის სუსხიანი ღამეა. დელაკრუას მუზეუმთან მარცხნივ ვუხვევთ და ერთ ღამეზე შენობაში შევდივართ.

— მშვენიერი დაბადების დღე მაქვს, კაცი უკეთესს რომ ვერც ინატრებს, — კიბეს ფეხით მიუყვებით, — ერთადერთი, რაც ამ წამს ჩემს ბედნიერებას ხელს უშლის, სამ დღეში შენი მოწყობილი კონფერენცია და იქ ჩემი მონაწილეობა, — შეწუხებულს შუბლი მეჭმუხნება.

— კარგი კონია იყო, — პიერს ისევ სერიოზული სახე აქვს, — პატარა ფლაკონებში ხომ არ ჩამომესხა და გამეყიდა, როგორც გულწრფელობის ნამალი.

— აი, ბიზნესიდეაც, — მეციხება.

— ახალი ცხოვრების გზები

— ვითომ გაამართლებს? — უკვე კარზე ზარს რეკავს, რომ ვეკითხები.

— ეჭვი შენზეა, ეგ წამალი ამ დროში ვინმეს სჭირდება, — მპასუხობს.

პალტოებს საკიდზე ვტოვებთ და ლეონარდოს დიდ განათებულ ოთახში მივყვებით. მალაქტერიანი, დიდფანჯრებიანი, უზარმაზარი ქალი აბრჭყვიალებული, ძველბურთი ავეჯით განწყობილი ოთახი ხანძართაა სავსე. ზოგს ძველბურთული ქიტონი აქვს ტანზე შემოხვეული, სხვებს ღმერთებისა და ქალღმერთების ნიღბები უკეთიათ. ტახტზე ქალი ზის და ლირაზე უკრავს. როცა გვერდით ვერ ვხედავთ, კვერთხით ხელდამშვენებული, წერტილი მამაკაცი ჩამივლის, მერე კი — არესის მუზარადით თავშემკული, პიერს ვუყურებ.

— არ ვიცოდი, — ჩურჩულებს, — უცნაური წყვილია, სიურპრისები უყვართ, მაგრამ არ მეგონა, თავს მთლად ოლიმპოსის მთაზე თუ ამოვყოფდით.

— თვით ამოვყოფდით? — ვეკითხები და თვალს ნელგამართულ ქალს ვაყოლებ, ნიჟარის ფორმის ღამის ქუდი გვერდულად რომ ახურავს, გამჭვივრვალე ქსოვილი ტანს სანახევროდ უფარავს, მზისფერი ტალღოვანი თმა ნელამდე დასთრევს.

— დაბადების დღეც ამას ჰქვია, — პიერი სიცილს ვერ იკავებს.

სიყვარულის ქალღმერთს უკან სავარაუდოდ პანი მიჰყვება, ათლეტურ კაცს ყვითლად შეღებულ თმაზე თხის რქები ადგას, შიშველ ტანზე ბენვის მოსასხამი ახვევია, ხელში სალამური უჭირავს.

მერე ლეონარდოს, ახლად რომ ვხვდები, დიონისეს ასახიერებს, ცოლის გასაცნობად მივყავარ. ტანმორჩილ, შავგვრემან ქალს სიარულზეც ეტყობა, რომ მინაზე მყარად დგას. ნელში გამოყვანილი გრძელი, ბოლოში ფარფლებიანი, კაბა აცვია. მკერდი ნაყოფიერებს კრეტული ქალღმერთით მოუფერებს, თავზე ქუდი ახურავს, ოღონდ, ლეოპარდისა თუ გარეული კატის ნაცვლად, ზედ ხელოვნური მტრედი წამოუსკუპებია. თვალები და ნარბეხი შავად აქვს მოხატული. გაშლილ მკლავებში გველების მაგივრად სიგარაგარჭმული ყალიონი და ღვინის სასმისი უჭირავს.

— ამას ვის ვხედავ, პიერ, — კივის და ჩვენსკენ იმდენად სწრაფად მოემართება, რამდენადაც კაბა აძლევს საშუალებას. ჯერ პიერს ეხვევა, მერე მე მიბრუნდება:

— მარსია, თუმცა დღეს მინოსელი ქალღმერთი ვარ, — ლოყას ლოყაზე მადებს და კოცნას ჰაერში აგზავნის, — ნიღბები შეგიძლიათ, თქვენც მოიროგოთ, — ყალიონიან ხელს როიალისკენ იშვერს, — იქაა მოსასხამები, ნიღბები, ღმერთების აქეს-სუარები...

როიალისკენ მივდივართ. მე გორგონა მედუზას ნიღაბს ვირჩევ, პიერი — აგამემნონისას, რომელიც სინამდვილეში აგამემნონისა თურმე არც არის და ეს უწყინარი გაუგებრობა იმის შედეგია, რომ მიკენელეები ასეთი ნიღბებით გარდაცვალების შემდეგ სხვა მეფეებსაც უფარავდნენ სახეს.

— შენს დაბადების დღეზე მაინც და მინც გველისთმიან ურჩხულად ყოფნა



რატომ გადაწყვიტე? — პიერი მიყურებს და მეკითხება.

თავს იმით ვიმართლებ, რომ არ მქონდა დიდი არჩევანი, ოთახში უკვე მიმოდიოდა ათენაც, პერაც, პოსეიდონიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, თავად ჰომეროსიც. მხრებს იჩეჩავს. მე გორგონა მედუზას ნიღაბს სახეზე ვიფარებ.

მალე ისევ ლეონარდო-დიონისე გვიახლოვდება, ქერათმიანი ბიჭისთვის, თავზე ასევე ყურძნის მტევნების გვირგვინი რომ ადგას, ხელი აქვს გადახვეული.

— ეს ჩემი ამპელიოსია, ხომ გახსოვთ მითოლოგიიდან, დიონისეს სატრფო, — ბიჭს სახიდან ქერა კულულებს უწევს და ტუჩებში კოცნის.

მიხარია, რომ სახეზე გორგონას ნიღაბი მიკეთია და ჩემს ანთილეულს სახეს ვერაფერ ამჩნევს.

ბიჭი ლეონარდო-დიონისეს ნებიან კოცნას, როგორც იქნა, უსხლტება, მე და პიერს გვიღიმიან, ხელს გვინვდის და:

— სერგი, — გვეუბნება.

— პოეტია, წერს რუსულად და ფრანგულად, — გვეუბნება ლეონარდო და სერგის ოქროს მტევნებით შემკულ გვირგვინს უსწორებს.

მარსიას ჩემთვის და პიერისთვის ღვინით სავსე სასმისები მოაქვს, გველების ნაცვლად ხელში ახლა ოქროსფერი ჭიქები უჭირავს:

— ნამობრძანდით, იქით სუფრაა, სულ ძველბურთული ნუგარით, — ხელკავს მეგობრულად მიყრის და სუფრისკენ მივყავარ.

— ხომ საყვარელია? — სერგიზე მეუბნება, თან მას უყურებს, მერე თითქოს ზღაპრის მიყვებაო, თხრობას დინჯად იწყებს, — მე და ლეო შტატებში დავიბადეთ. ერთად გავიზარდეთ. ორივე კალიფორნიაში ვსწავლობდით დიზაინსა და არქიტექტურას. სულ მიყვარდა... ერთ დღესაც, როგორც იქნა, თვალები ახილა და აღმომაჩინა. უბედნიერესი ვიყავი. მალევე დავექორწინდით. თავიდან კალიფორნიაში ვმუშაობდით, მერე აზიაში გადავედით. წლები ვერ — სინგაპურში, მერე ტოკიოში ვცხოვრობდით. საკმარისი ფული რომ დავაგროვებთ, საცხოვრებლად პარიზში ვადმოვივით. ვფიქრობდით, რომ უკვე თავისუფლად შეგვეძლო ცხოვრებით ტკობა და ფულის

ჩვენს გემოზე ხარჯვა, მაგრამ ზუსტად ამ პერიოდში ლომ სერგის გაიცნო და შეუყვარდა. ვერ ვიტყვი, რომ ეს ჩემთვის ადვილი იყო. თითქმის ორმოც ვიყავი მიტანებული, ისედაც რთული ასაკი მქონდა. ჩემი ლოს გარეშე ცხოვრების გაგრძელება ვერაფრით წარმოემდგინა. ბევრი ფიქრის მერე მივხვდი, რომ სამი გზა მქონდა, აქედან ერთი უნდა ამომერჩია: ან ქმარს უნდა დავშორებოდი და ცხოვრება ამაყად, ოღონდ მარტოს და უბედურს გამეგრძელებინა, ან თავი უნდა მომეკლა, ანდაც უნდა შევეგუებოდი ამ ამბავს და ლეო არსად გამეშვა. ის გზა ავირჩიე, რომელიც ბედნიერებას მომიტანდა. გადავწყვიტე, რაღაც უნდა დამეჯდომოდა, ბედნიერი ვყოფილიყავი. მის ახირებას დავყვი და ცხოვრება ორივესთან ერთად გავაგრძელე. შენ წარმოიდგინე, არ ვნანობ, ახლა კიდე უფრო ბედნიერი ვარ. სერგიმ ჩვენი ურთიერთობა



ნესტან ეგეტაშვილი აფროდიტის საყურე ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

გადაახალისა. მე და ლეო პრაქტიკული ადამიანები ვართ, მუშაობის გარდა, ცხოვრებაში არაფერი გვიკეთებია. სერგი ნამდვილი რომანტიკოსია, ეს სადამოც მისი იდეაა. ახლა სამი ვცხოვრობთ და დროს მშვენიერად ვივტარებთ. ალბათ სჯობს, ბედნიერი იყო, ვიდრე მართალი, ამაყი ან თუნდაც მკვდარი, ასე არ არის? — ღვინის სასმისს ჭიქაზე მიჭახუნებს და კისკისებს, — იცოდი, რომ შამანურ ოჯახში ოდიტანვე სამთა კავშირი იგულისხმებოდა? ოღონდ ერთი განსხვავებით, იქ ორი ქალი და ერთი კაცი მოიაზრებოდა. სიმართლე ვითხრა, მე ჩვენი ვარიანტი უფრო მანკობს, — ისევ კისკისებს, ექო მთელს ოთახში ვრცელდება.

ამასობაში გაშლილ სუფრას ვუახლოვდებით. ვერცხლისფერ სინებზე ზეთისხილი, თავფლი, თხის ყველი, ლედვთან ერთად შემწვარი ხორცი, პური, ბროწეული, ყურძენი აწყვია.

— როგორც სერგიმ გამოიკვლია, ასე იკვებებოდნენ ძველი ბერძნები, — მეუბნება მარსია.

რას საქმიანობო, მეკითხება. რომ იგებს ელინისტი ვარ, თვალები უნათდება, უცნაური დამთხვევაა, ჩათვალე რომ ეს წვეულება შენ და პიერს გეძღვნებათო, იცინის. ყველა, რომ პარიზში ბოლო დროს სულ დიზაინითაა დაკავებული, რომ მთელი ეს მოსასხამები, ნიღბები, ქუდეები მისი ნახელავია.

— რატომ აირჩიე გორგონა მედუზა? — ცოტა ხანში შავად მოხატული თვალებით ისე მიყურებს, თითქოს გულთმისანი იყოს და ჩემზე ყველაფერი იცოდეს, — კარგად გეცოდინება, გველისთმიანი ურჩხული ოდესღაც ულამაზესი გოგო რომ იყო... შენც ხომ არ ცდილობ მეტამორფოზას? — მერე ხელკავს მიყრის და მიღიმიან, — გაბედე და გააცოცხლე შენში ჩაკლული მშვენიერება, — ნიგნების თაროებთან კალამს პოულობს, — ვიცი, ამაში ვინც დაგეხმარება, — ხელსახოცზე ნომერს წერს, მანველის და დაუჩინებთ მიყურებს, — მიშველი ქვია, დაურეკე. უთხარი, რომ ჩემი მეგობარი ხარ. პიერმა მითხრა, დაბადების დღე გქონია. ეს ჩემი საჩუქარი იქნება.

მინდა, მარსიას ვკითხო, ვინაა მიშველი ან რატომ იფიქრა, რომ ის შეძლებს ჩემს დახმარებას, ან საიდან მოიტანა, რომ საე-

როდაც დახმარება მჭირდება, მაგრამ ვერაფერს ვამბობ. ხელსახოცს ვართმევ, ვკეცავ და ჯიბეში ვიღებ.

უცნაური სახლიდან გვიან მივდივართ. პიერი ტაქსით მაცილებს, თვითონ იმავე მანქანას შინ მიჰყვება.

მთელი ღამე კრეტელი ქალღმერთის ფარფლებიან კაბაში გამონყობილ ქალზე ვფიქრობ. როგორ ჰგავდა დედამიწას თავისი ენერგიით, სიღრმით, მიზიდულობით, ძალდაუტანებელი მზრუნველობით და, გულწრფელობის მიუხედავად, თავისი საიდუმლოებებით. მერე იმის ამოცნობას ვცდილობ, რატომ ავირჩიე მაინცდამაინც გორგონა მედუზა ან რისი თქმა უნდოდა მარსიას იმ უცნაური სიტყვებით.

გამთენიისას თვლელა მერევა და სანამ გრძელი დღითა და ღამით დალილი მთელი არსებით ძილში გადავხვევები, წამით ცაზე ოქროს ეტლს ვხედავ, მიგ შებმული ბელურები მინისკენ რომ მოაქროლებდნენ...

\*\*\*

შუადღისას მიშველს ვურეკავ. მანამდე მონმარტრზე ვსირნობ და სანამ ბაზილიკა Sacre-Coeur-ის 270 საფეხურს ავივლი, ვფიქრობ, დავრეკო თუ არა იმ ნომერზე, მარსიამ რომ მომცა. სახლში ვბრუნდები თუ არა, ვრეკავ.

— რა გქვია? — მეკითხება.

— მერა, — მორიდებულად ვპასუხობ.

— მერა, მისმინე, — კაი ხნის მეგობარივით მომმართავს, — ხვალ დილას დამირეკე, — და მეც დაძაბულობა მეხსენება.

— დილას რომელზე? — ვეკითხები.

— რა ვიცი, დილას, ახლა მთლად ექვსზე ნუ დამირეკავ.

ორივეს გვეცინება, მერე ერთმანეთს ვემშვიდობებით.

მეორე დილას, როგორც კი იგებს, მარსიას მეგობარი ვარ, სადამოსთვის მიბარებს. მისამართს მანერინებს და მემშვიდობება.

სახლიდან ხუთი საათისთვის გავდივარ. სად მივდივარ ან იქ რა მინდა, ჩემს თავს ვეკითხები. იქნებ რჩევა პიერისთვის მაინც მეკითხა?! ვნერვიულობ, მაგრამ ყავისფერ როლინგსა და ჯინსს მაინც ვიცვამ, თვალს შავად ვიღებავ, თითებზე ბეჭდებს ვიკეთებ, პალტოსა და კაშმის ვიღებ და სახლიდან გავდივარ. Saint Lazare-ს ქუჩაზე მარჯვნივ ვუხვევ, ცოტა ხნით D'Estienne d'Orves-ს ბაღში ვვდივარ, ნავიდე-არ ნავიდე, ვორჭოფობ. მერე ვდგები და მივდივარ. ათენის ქუჩაზე ცხოვრობს, ეს ალბათ ნიშანია, თავს ვიმხნევებ და მეხუთე სართულზე ფეხით ავდივარ. ზარს ვრეკავ და ვიცი. კარი იღება. მალაია, ორმოცდაათ წელს გადაცილებული, ჭაღარა წვერიანი აქვს, თითქმის გადაპარსული თმა, უბებში ღრმად ჩამჯდარი, ყავისფერი თვალები. ხუთი წუთი დამელოდეთ, ხელით მანიშნებს და კარს ისევ კეტავს. სადარბაზოს ფანჯარასთან მივდივარ. Rue d'Athènes, ვფიქრობ, რა უცნაურად უღერს ფრანგულად, ქუჩას ზემოდან დავყურებ და ჰაუსმანის დიზაინით აშენებულ ქვისფასადიან, დიდფანჯრებთან, რკინისაივნიან ერთნაირ სახლებს ვათვალიერებ.

ზუსტად ხუთი წუთი კარი იხსნება. ახალგაზრდა ქალი გამოდის, უკან მიშველი მიჰყვება, აცილებს და შემოდიო, მეუბნება. ჯერ — ჩანბნებულ შესასვლელში, მერე კი განათებულ ოთახში შევყავარ. კედლები ნახატებითა და ქერამდე თაროებითაა დაფარული. თაროები ნიგნებით, ქვის ხორთუმიანული სპილოებით, ბრინჯაოს ბუებით, ჭრელი ქოთნებით, სპილოთავიანი ადამიანის ფიგურებით, მოხატული ღამაპებითაა სავსე. დაჯექო, სავარძელზე მითითებს. თვითონ ჩემ წინ ჭაობისფერ სავარძელზე ჯდება.

— მომიყვი, აქ რამ მოგიყვანა? — მეკითხება და კეთილად მიღიმიან. შავი განიერი პერანგი აცვია, ოდნავ შესამჩნევი თეთრი ზოლებით.

ცოტა ხანს უხმოდ ვზივარ. თვალებში ვუყურებ. მერე კი თვითონაც მიკვირს, იმაზე ლაპარაკს ასე გულახდილად რომ ვინც, რაც მანუხებს.

— გასრული ვარ, — ვჩურჩულებ და მაჯაზე ჩემს სამაჯურს აქეთ-იქით ვატრიალებ, — თითქოს ზურგზე უზარმაზარი ტვირთი მანევს და როგორც ადამიანის ფეხი ასფალტზე ჭიანჭველას, ისე მჭყლეტს. მინდა, გავიქცე, ამ ტვირთს გავეცე, მაგრამ, სადაც უნდა წავიდე, თან მიმყვება. ვერ ვი-

შორებ. ბრაზი მახრჩობს, რომ უძღური ვარ, არაფრის გაკეთება შემოძლია...

ერთ კარგ წიგნში ასე წერია: თუ გინდა, რომ გაქცევა შეწყვიტო, ის კი არ უნდა გაიგო, სად მირბიხარ, არამედ ის, საიდან მირბიხარ, — ყურადღებით მიყურებს, — გაიხსენებ თავს, თავს ასე გასრესილად როდის გრძობდი... ეს შეგრძნება გაიხსენებ.

თვალეებს ვხუჭავ და 3-4 წლის ჩემს თავს ვუყურებ. საბავშვო ბაღში ვარ. პატარა მაგიდასთან პატარა სკამზე ვჯდვარ. ძიძა ზეთიანი სუპით გაპიპილებულ თევზს მაცლის და მაგიდაზე ვაშლის ჯემიან ერთ კანფეტს მიდებს. მიხარია, რომ ასე მიმართლებს, ვაშლის ჯემიანი ხომ ჩემი საყვარელი კანფეტია. არ ვჭამ და ვინახავ. ასე ვიძინებ. გაბრაზებული ძიძის ხმა მალვობებს. არ ვიცი, რა ხდება. გატკბილიანებული მაქვს ხელეები, მკლავები. გასვრილია ლოგინის ზენები. ხელისგულში დამდნარი კანფეტი მიჭირავს. გული მწყდება, შეჭმა რომ ვერ მოვასწარი. თვალეებზე ცრემლები მადგება. ძიძა ხელისგულს უხეზავს მიშლის და გამდნარ კანფეტს მართმევს. მერე აღმზრდელთან მივყავარ. ის მსჯის. პერანგის ამარა დიდ ოთახში ყველას თვალნი სკამზე მსვამს, სხვა ბავშვებზე რომ დაინახონ აქ „ურჩებს“ როგორ ექცევიან და რომ შეეძინდეთ...

— მიუახლოვდი, — მშვიდად მეუბნება, — უთხარი, რომ გაპატიოს ამდენი ხანი, აქ, ამ სკამზე რომ დატოვე, რომ არასოდეს არ მიხვედი და არ უთხარი, რომ გიყვარს... უთხარი, რომ ახლა ალბათ აღარც ეს ბაღია და აღარც ის, ვინც დაგსაჯავ, ამ სკამზე პერანგისამარა დაგსავს... უთხარი, რომ გიყვარს...

მის სიტყვებს გულში ვიმეორებ, თან სკამზე ჩამომჯდარ მოწყენილ ჩემს თავს ვუყურებ. ის კი თავის პანანინა მკლავებს მხვევს და მეხუტება. მის წინ ვიჩქებ, დიდ, ცრემლიან თვალეებზე ვკოცნი. უცებ ქრება. რჩება მარტო სკამი ბავშვებით სავსე ოთახში და ამ სკამზე გადაკიდებული პატარა გოგოს თეთრი პერანგი...

— რას გრძობ? — მეკითხება და ისევ მიყურებს.

— თავბრუ მეხვევა, თითქოს მინა მაქვს ფეხქვეშ გამოცლილი, — ვჩურჩულებ.

— ამ შეგრძნებას დააკვირდი, — მეუბნება და გვრძობს, ელვის სისწრაფით სადღაც როგორ მივქანები.

— სად ხარ?

— ზღვას ვხედავ. ტალღებზე გემი ირნევა. ნელ-ნელა მიახლოვდება. ხისაა, ძველისძველი, ნიჩბებიანი. აი, ისეთი, ქიმზე თვალეებს რომ ახატავდნენ ძველი ბერძენები...

— ახლა რა ხდება?

— გემბანზე ვარ. ვილაც კაცები აქეთიქით ირევიან. დროდადრო გემი მოხუცის ძვლებით ფრიალებს...

— რას აკეთებ?

— ანძაზე ვარ თოკით მიბმული...

— ვინ ხარ?

— ქალი ვარ. თმა მზისფერი მაქვს, თვალეები — ზღვისფერი. ტანზე ქიტონი მაცვია, ჭუჭყიანი, ალაგ-ალაგ დაგლეჯილი. ხელეები ზურგსუკან მაქვს შეკრული. ფეხებიც შეკრული მაქვს...

— ტყვე ხარ...

— დატყვევებული, გაბრაზებული, განრისხებული ჩემს ბედზე ნანწყენი... აქ როგორ მოხვდი, ამათ ხელში როგორ აღმოვჩნდი, აქ რა მინდა, მიკვირს... მახსოვს, პამის რტოებს ქარი ამრიალებდა. მწვანედ მოხატული თვალეები უელავდა. სპილოსძვლისფერი ქიტონი ეცვა. შავი თმა თავზე შურთხის ზოლებით ჩაეწნა. ღვინოს მალაყელიანი სასმისებით მანვდიდა. დროდადრო კეთილად მიღიმოდა. მერე ხელისხელჩაკიდებულები ვცეკვავდით. სხვა გოგობიც წრეზე ჩვენთან ერთად ტრიალებდნენ. მიხაროდა, ვიცინოდა, ლექებს ვამბობდით. რა კეთილი და კარგი ყოფილა-მეთქი, ვფიქრობდი. ნეტავ ცილს რატომ სწამებდნენ-მეთქი, ვბრაზობდი. მისი საცოლელი იყო, არ ენდოო, მაფრთხილებდნენ. მიტოვებულია, რამე სიავე არ დამართოსო, მეჩურჩულებოდნენ. მაგრამ მისმა სიმღერამ მეხსიერება დამიბინდა. აღარაფერი მახსოვდა. მის გამონვდილ ღვინოს ვსვამდი, ვიცინოდი, თავდაუინწყებით ვცეკვავდი... მერე თითქოს ბლანტ წყვილადმი ჩავნექი. არ ვიცი, შუა ზღვაში ნავით როგორ აღმოვჩნდი. ხელფეხგაკოჭილი გემის კიროზე საიდან მოხვდი... ნაპირი არ ჩანს, აქა-იქ

მხოლოდ დაუსახლებელ, პატარ-პატარა კუნძულებს ვხედავ. ელავს მზეზე მისი თეთრი ლოჯები. სახე ახლოს მოაქვს. თვალეებს ზიზლით ვხუჭავ, მერე კი სახეში ვაფურთხებ. ლონიერი კაცები ხელს მავლებენ, ანძამდე მათრევენ, ზედ თოკით მაბამენ... რა მოხდება, არანორმალური ძალა რომ მომეცეს?! ტანზე შემოხვეული თოკის განყვეტასა და აქედან გაქცევას ვნატრობ...

თვალეებს ვახელ და მიშელს გაოგნებული ვუყურებ. აღარ მახსოვს, სად ვარ, აქ რა მინდა ან ჭაობისფერ სავარძელში ჭაღარა კაცი, სახეზე ყურადღებით რომ შემომცქერის, ვინ არის. დროა საჭირო, ყველაფერი რომ გამახსენდეს, წიგნებითა და ჭრელა-ჭრულა სუვენირებით სავსე თაროები და ნახატები კედლებზე თავიანთ ადგილებს დაუბრუნდეს.

— ეს რა იყო? — ვეკითხები და საფეთქლებს ვისრეს.



— ახლა რა ხდება? — ჩაფიქრებული დინჯად მიყურებს.

თვალეებს ვხუჭავ და ისევ ტალღების რნევას ვნებდები:

ამირხანაშვილის ნაწერებში საუკუნის ეს ჭირიც მთლიანობაში ისტორიის უწყვეტობის ჭრილშია ჩასმული და გააზრებული. მის მწარე შედეგებს კი ქართლის ცხოვრების უამთააღმწერელი, მწვანელი გარინდებული (ანუ თრიაქით მთვრალი — მ. ჯ.) ერთი ქართველი მეფის თავს გადამხდარი ისტორიით ჰყვება.

გორის ციხესთან ასობით ქართველი მეომრის სიცოცხლე მეფის ამ მდგომარეობას შეენირა. მართალია, გამოფხიზლებულმა მხედართმთავარმა შური იძია და ოსმალური მტრები მთლიანად გაჟუჟა, მაგრამ იმ დახოცილ ვაჟკაცებს რაღა ეშველებოდათ.

„როცა სიმონ მეფე ირმის ტყავის მოძირო ქისიდან ჰაშიშს იღებდა, ცხადია, ვერ წარმოიდგენდა, რომ გავიდოდა თითქმის ოთხი საუკუნე და ამ გზაზე, რომელიც გორისჯვრის სიმალიდან დარღვეული ძაფის ნართივით იკლავნებოდა მტკვრის გადრიდარდმოდ, ქართველი ნარკო-ბარონები ნახევარ ტონა-ჰეროინს გაატარებდნენ ციციმ, თამამ-თამაშით.“

ერის სიკვდილისთვის გამიზნული ამ ნაბიჯების შემდეგ ივანე ამირხანაშვილი ინფორმაციულად დამზადდა, დოკუმენტურ სტატისტიკას გადაშლის მკითხველის თვალში. ისე გადაშლის, როგორც ქირურგი საოპერაციო მაგიდაზე დასვენებული, წამალში გაპარული ლამაზი ბიჭის (ჭაბუკის) სხეულს. ამ ჩანაწერებიდან, ისე როგორც არაერთი აბზაციდან, სისხლი მონვეთავს.

ჯერ კიდევ როდის წერდა თავის „მცირე სტატისტიკურ მისტირაში“ ივანე: „მოდის ახალი ტალღა, ახალი ქიმიკა, ახალი რწმენა — ფულის რელიგია, რომელმაც არ იცის ზნეობა, არც მორალი, იცის მხოლოდ ანგარიში და კიდევ ის, თუ როგორ გადაახურდაოს რიგითი მოქალაქე სამშობლოს მოღალატედ“ (ხაზგასმა ჩვენია — მ. ჯ.).

ქართული ლიტერატურის დღევანდელ ექსპერტთა შორის ივანე ამირხანაშვილი ერთ-ერთი უპირველესი პროფესიონალია, რომელსაც თვალდახუჭული ვენდობი არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი თანამედროვე ხელოვნების პროცესებსა და ტენდენციებში კარგად ერკვევა და ზედმინევიანი ინფო-

ტიკად მოიხსენიებს. ამ ტერმინით, ალბათ, ზუსტადაა შეფასებული ის 2-3 აბზაციანი ტექსტები, რომლებშიც წიგნის ავტორი სიტყვის გამოგნებელი მომჭირნობით ახერხებს უმთავრესს თქმას.

„ფიქრების პანოპტიკუმი“ ასევე მეტი ავტორის შემოქმედებაა განხილული. მკითხველის თვალში კალედოსკოპური ფიგურებივით მოძრაობენ სრულიად განსხვავებული ფერისა და ინტონაციის მქონე სხვადასხვა ხელწერის, სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები.

წმინდად პროფესიული მიგნებებისა და დაკვირვება-აღმოჩენების, განსახილველი ტექსტის მოულოდნელი, არაორდინალური გააზრებების გარდა, რომელიც, პირადად მე, კლასიკური ჯაზის ამა თუ იმ მოტივის ვირტუოზულ ინტერპრეტაციებს მაგონებს, მოხიბლული რჩები იმ გულწრფელობითა და უშუალობით, რითაც ავტორი გვესაუბრება. მაგალითად, 90-იანი წლებიდან უკრაინაში იძულებით ემიგრირებულ გურამ პეტრიაშვილზე თხრობას ივანე ასე იწყებს:

„ხანდახან გვევალება და აუცილებელიც არის, რომ არ ვიყოთ „ძალიან მართლმადიდებელი“ და ამას ვახერხებთ როგორც, რაღაცნაირად. მან ვერ მოახერხა, არც უცდია, რადგან საერთოდ არ აღმოაჩნდა შენიღბვის, დაფარვის, თავის მოზღუდვის ნიჭი.“

გულის პრინციპით ცხოვრობდა. ჩვენთან, საქართველოში ეს საშიში საქმეა, საშუალო, ვნების მომტანი. იმიტომაც ჰყავს ბევრი რისხვამოუწუნებელი მტერი. თუმცა არც მოყვარე ჰყავს ცოტა... სიტყვა არის მისი სხვადადებელი, ქონება, სარჩო. მეტიც, სიტყვა არის მისი სამყოფელი, სახლი, თავშესაფარი, ოღონდ არა მინა, არა ბალახი, არა ადგილის დედა. სიტყვის იმედად არის იქ, უკრაინაში, შორეულ და ახლობელ უსამშობლოეთში, სადაც ჯერ კიდევ უფრო მძაფრად იგრძნობა აქ გატარებული ცხოვრების ტკბილ-მწარე შინაარსი, მამულის მეტაფორიკური ხატი, რომელიც პოეტურ წარმოსახვაში საკმაოდ ხელშეხარებ, რეალურ სურათად გადაიქცევა... გურამ პეტრიაშვილი თავს არ დალატობს, პრინციპებს არ თმობს, ისევე ძველ მოტივს მღერის: „კაცი მტკიცედ უნდა იდგეს და არ იყიდებოდეს“... ასე უნდა, ეს მას სჭირდ-

ება, ეს მას ევალება. ღმერთმა ხელი მოუშალა. ისე, კაცმა რომ თქვას, ჩვენც გვევალება რაღაც“. (2009 წ. 17 აპრილი).

ამ ბოლო წინადადებით ბევრი რამაა ნათქვამი. ალბათ, ისიც, რომ სამშობლოს ნოსტალგია არა მხოლოდ უცხოეთში გადახვენილ ჩვენს თანამემამულე პოეტებს ხრავს, არამედ ჩვენც, სამშობლოში დარჩენილებსაც. სამშობლოში სამშობლომონატრებულებს. მონატრება კი ბევრ რამეს გვაევალებს...

„ევექტი არა თავისთავად, არამედ ევექტი მთლიანობის სამსახურში“ — აი, გივი ალხაზიშვილის პოეტური ხელწერა. სწორედ ამ მთლიანობის შექმნას ემსახურება სხვა დეტალებიც — ტაეპური და სტროფული — ანჟამებმანები. ამასთან ერთად, რაღა თქმა უნდა, ირონია, ესთეტიზმის აუცილებელი პირობა და ყველაფერი ეს ერთი პოეტური მიზნისათვის — დაბრუნდეს და დაიმალოს პოეტი იმ სიზმარში, საიდანაც ოდესღაც გამოაძევეს“.

ივანე არ ახსენებს სამოთხეს, რომლის ბალსაც ისევე სჭირდება ერთგულება, როგორც სამშობლოს, მეგობარს, სიყვარულს. სამოთხე სიტყვა სიზმრით იცვლება.

რა არის პოეტის მიზანი, პოეზიის მიზანი, ზოგადად, მხატვრული სიტყვის მიზანი, თუნდაც ქვეცნობიერად, გაუაზრებლად?

ჩემის აზრით, სამყაროში ხანგრძლივი ხეტიალის მერე დაღლილ-დამაშვრალი, ამო ძიებით განბილებული ადამიანის შინ დაბრუნება. და, მართლაც, ასე მგონია, პოეტური სიტყვა, ფერწერასთან ერთად, შინ დაბრუნებაა, დედამინაზე სამოთხის დაბრუნების მცდელობა.

„დაბრუნდეს და დაიმალოს პოეტი იმ სიზმარში, საიდანაც ოდესღაც გამოაძევეს“ — ეს საოცარი აღმოჩენა საშუალებას იძლევა ადამიანს ადამიანად ყოფნის მისია, საზრისი აღმოაჩინოს. ეს მისია ყველაზე დიდი მადლიერებით ბოლო ათწლეულების ქართულ პოეზიაში ესმა ონიანთან გამოიხატა:

მე დავიბადე ადამიანად,  
არაფრიდან გამოვმზიანდი  
რა უბრალოა, უღალატო,  
როცა იტყვი — მე ვარ დიადი!..

ეს არის ოდა, სიხარული ადამიანად ყოფნისა.

ამ არაფრიდან გამომზიანებულს, მტერისგან, მინისგან შექმნილს, ერთადერთი რამ გვთხოვს გამომზიანებულმა — აი, იმ ხიდან ჯერჯერობით ნაყოფს ნუ მოსწყვეტო.

რა სამწუხაროა, რომ მამაზე მეტად შემასმენელს დაუფუჯერეთ. თუმცა, მეორეს მხრივ, გამოძევებულ, გამარავლებულ, მძიმე შრომით, შეცდომებითა და ვნებებით გატანჯულ სამყაროს ყველაზე მგრძობიარე ნაწილში, პოეტური ბუნების მქონე ადამიანებში, ამ ურჩობა-შეცოდებამ ისეთი ტკივილი და ღრმა სინანულის განცდა გამოიწვია, რომ ლოგოსი აღსარებისათვის განიწყო და მხატვრულად ააფეთქა. ხელოვნების სფეროში მომუშავე ადამიანების სახით, ჩვენი ყოფის უდაბნოში ასე გაჩნდა პატარ-პატარა ოაზისები, პატარ-პატარა სამოთხეები. შეიძლება ითქვას — ნამდვილი ხელოვნება, ნამდვილი შემოქმედება, ჩვენს მარადიულ სამშობლოში, სამოთხეში დაბრუნების მძაფრი სურვილი და მცდელობა.

ნამდვილ პოეტებს ყოველთვის ჰქონდათ იმის განცდა, რომ ქმნადობის პროცესს იდუმალედა წარმართავს, რომ გულგახსნილობის აქტი აღფრთოვანებას, თანაგრძნობას, ტკობას, გაცობას უნდა იწვევდეს და არა უხერხულობის განცდას. ამიტომ, რომ აკაკის სიტყვები: „მაგრამ რადგან პოეტი ხარ, უნდა იყო გამოცანა“, ივანე ამირხანაშვილმა ზედმინევიან დროულად გაიხსენა ზაალ ებანიძის პოეზიის შეფასებისას:

„მას არ უყვარს ავტობიოგრაფიული ელემენტების გამოყენება, რაც უთუოდ გააუფასურებდა ლექსს. სუბიექტური ემოციების ნაცვლად ობიექტურ განცდებს გადმოსცემს, მას შუამავლის როლი ურჩევნია მკითხველსა და იდეას შორის მეკავშირის ფუნქციის შესრულებას. ამით საშუალება ეძლევა, შეამციროს ლიაობის ხარისხი, შენიღბოს, არ იყოს ბოლომდე საცნაური“.

სხვათა შორის, ამ შენიღბვასა და „ლიაობის ხარისხზე“ ქართულ კრიტიკაში გამოთქმული ერთი უცნაური აზრი მასხენდება

ანას პოეზია საკვირველად დაცლილია ეროტიკულობისგან...

ვინ იცის, იქნებ ამ „მატყუარა“ შთაბეჭდილების თავიდათვი ანას იდუმალეობისადმი, საიდუმლოსადმი ლტოლვაშია. მისი „გასაიდუმლოებული“ ტრფიალი და ნარმოსახეები სულაც არაა ეფემერული, უსხეულო, უმისამართო. უბრალოდ, სხეულიცა და მისამართიც ისეა შენისლული, ისეთი პოეტური ბურუსითაა მოცული, რომ ლექსი თავის ეროტიკულ ესთეტიკას, უმაღლესი პროფესიონალიზმის ნყალობით, უდაბვნელსად ასხივებს. ის დაახლოებით იმ სიღრმისეული ხარისხის გამოსხივებაა, ოკეანის ფსკერზე დაღვრილი ნიჟარის გულელებში მარგალიტები რომ ანათებენ. რაც უფრო ღრმადაა ჩაძირული, მით უფრო ნამდვილი და გასაოცარია მარგალიტის დაფერვის ციმციმი. ვფიქრობ, რომ ამ იდუმალი კარის ოდნავი შესხნაა ანას სიტყვები:

„ყვავილებს ჩემს პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. ისინი ჩემთვის არ არიან მხოლოდ ბოტანიკური ერთეულები, როგორც შეიძლება, მაგანს მოეჩვენოს. ისინი ჩემთვის უფრო მეტს ნიშნავენ. მათ ჩემს შემოქმედებაში მეტი დატვირთვა აქვს; მათ უკან ხშირად „ვიღაც“ დგას“.

კიდევ ერთი ჩანაწერი ანას დღიურებიდან: „...სულის გაშიშვლების სურვილი ავტორს ჩვეულებრივ არ აქვს და ვფიქრობ, რომ არცაა საჭირო. იდუმალეობა მხოლოდ მასთან უნდა დადგეს“.

ყოველივე ამის შესახებ დიდი ფრანგი პოეტი მალარმეც წერდა: „დასახელო საგანი ნიშნავს — სამი მეოთხედით შეამცირო პოეზიით ტკბობა. შთაგონო — აი, ოცნება!“

ლექსით ტკბობა იგივეა, რაც, ვთქვათ, არქიტექტურული შედევრით, გენიალური ფერწერული ტილოთი, მუსიკით, რაფსოდით. მალარმესული შთაგონება კი იმ ნაპერკადას გულისხმობს, შემოქმედის გულს, სულსა და გონებას ერთდროულად რომ წაეკიდება და ააგვიბინებებს.

შემოქმედებით პროცესის ხანძრად ქცევის პროცესია. გურამ რჩეულიშვილიც ამ პროცესში ხედავს ვნების სიმძაფრეს და არა აშენებული ტკბობაში. ეს ცეცხლი ეკიდა ჩვენი თაობის უნიჭიერეს პოეტსა და პროზაიკს, მერაბ აბაშიძესაც, როდესაც „აქეთ მამხალეები, კვანშიმოდო“—სა და „პოეზიის ხანძრის ქალიშვილს“ წერდა.


ამჟამად, რომ ვანო ამირხანაშვილიც, როგორც ხელოვანი, თავად ტკბება შემოქმედებით პროცესში ყოფნით. ამიტომაც, რომ განსახილველ ტექსტებში სწორედ შთაგონების შედეგად მოსულ ფიქრებს, აზრებს, სახეებს, მეტაფორებს წამოსწავს ნინ. მისთვის უმთავრესია არა შეფასებით მიღებული დასკვნა-შედეგი, არამედ ამ დასკვნისაკენ, შედეგისაკენ მიმავალი სააზროვნო პროცესი. თავად ეს გზა იმდენად დიდი სიამოვნების მომგვრელია კრიტიკოსისათვის, იმდენად აზარტული და ხშირად მოულოდნელიც კი, რომ მომენტალურად გადაეცემა მკითხველს და ჩნდება მწერლის, კრიტიკოსისა და მკითხველის ერთგვარი შეხმატკბილებულ-შეთანხმებული ტრო. შესანიშნავია ამ თანხმობის, ერთსულოვნების განცდა!

ასე იწერება ლექსი, რომანი, ასე შენდება შენობა, ასე იხატება სურათი, ასე ფერს სიმფონია.

ამ დანერგვით, დახატვლით, აშენებულთ ტკბობა კი მკითხველის, მსმენელისა და მკითხველის პრეროგატივაა და არა ავტორის.

„ფიქრების პანოპტიკუმის“ ნებისმიერი პასაჟი სწორედ ქმნადობის პროცესისათვის დამახასიათებელი ვნების სიმძაფრით ხასიათდება და არა „ხბოს ალტაცებით“, როგორც ხშირად ხდება ხოლმე დიდიმამბებით დახუწულ შეფასებათა კითხვისას.

გემოვნებიან ექსპერტს შესწევს უნარი, ავტორისეული ვნების სიმძაფრე ხარისხობრივად მეტ-ნაკლები ტონუსით წარმოაჩინოს ნებისმიერი ავტორის ტექსტში ისე, რომ პირნათელი იყოს საკუთარ შეგრძნებებში, საკუთარი პროფესიული სინდისის წინაშე, ზოგადად, შემოქმედებითი აქტის წინაშე. ამიტომაც, რომ ვანოს ტექსტებს ზედმინვენით ყურადღებით უნდა ნაკითხვა და შედეგად აუცილებლად აღმოაჩინო იმ ავტორებსაც, რომლებიც უფრო მათ მიერ აგებული შენობის ტკბობით არიან გარ-



თულები, ვიდრე შენების, ქმნადობის, თხზვის პროცესით. უბრალოდ, ამ სერიოზულ, არსებით შენიშვნებს კრიტიკოსი ისე ოსტატურად და დელიკატურად იძლევა, რომ გონიერი ავტორი მათში ყოველთვის კეთილგანწყობას აღმოაჩინოს და არა უარყოფისა თუ ნიშნისმოგებისათვის დამახასიათებელ ცივ ირონიას.

ქმნადობის პროცესი (აქტი) გულისხმობს თავდავიწყებას, გარეშე, მისტიკური ძალის ჩარევას და შენი ადამიანითა და ანგარიშით აშენებს, აგებს ტექსტს. ამ შემთხვევაში, ესა თუ ის სახელი და გვარი, შესაძლოა, იდეის, კონცეფციის, ფაბულის, მეტნაკლებად ეფექტური სიუჟეტის ავტორად რჩებოდეს კიდევ, მაგრამ შემოქმედებით იდუმალეობას, ერთგვარ სიზმარ-ცხადის ძილ-ბურხანს, საიდუმლოს მომწესხველ ძალას ნიჭიერ მკითხველს ვერ განაცდევინებს.

პირადად ჩემთვის, ნამდვილი ხელოვნება (ლიტერატურა) ღვთისმადიებლობა და გამიხარდა, როცა ღმერთისათვის განდგომის, გაგანია გლობალიზაციისა და საყოველთაო სეკულარიზაციის ეპოქაში გენოკალანდიას ბოლო პერიოდის პოეზიასთან დაკავშირებით ვანო ამირხანაშვილის ასეთ პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბე-მოკიბვისა და კომპლექსების გარეშე შემდეგ აზრს გადავანყადე:

„ლიტერატურა არ იქმნება უფლის მონანილოების გარეშე, მაგრამ ეს, როგორც ფაქტი, შემოქმედებითი გზის დასაწყისში არ ჩანს, იქმნება, იფარება, ინიღბება, რადგან ავტორს მიაჩნია, რომ ყველაფერი ისედაც ცხადია, ან პირიქით, ფიქრობს, რომ ტექსტის „უფალი“ თვითონ არის და არა სხვა ძალა.

ყველა პოეტი, როგორც ქმნადობის სუბიექტი, თავს ღმერთის დუბლიორად მიიჩნევს, მაგრამ ერთხელაც დადგება მონეტი, როდესაც უნდა აღიაროს ჭეშმარიტება, რადგან თავისთავში გამოკეტვა არანაირად არ იძლევა ხსნის გარანტიას. საიდანლაც მოდის რწმენა, სათნოება, მისტიკა და ღვთაებრივ სანყისთან უშუალო კავშირის შეგრძნება, რომელიც პოეტნიცურად ყველა ადამიანს ახასიათებს, მით უფრო პოეტს, ტრანსცენდენტებს, საკუთარი თავიდან გასვლის ოსტატს. სურვილიც რომ არ გქონდეს, დგება ჟამი. „შინაგანი ადამიანი“ ზევით იწყებს სვლას. ფართოდება სულიერი ყოფიერება. იზრდება საზღვრები. პროცესი მით უფრო მასშტაბურია, რაც უფრო ღრმად ზის კულტურულ ფასეულობათა კონტექსტში, პოეტის სულიერ სამყაროში ფორმდება ზავი მარადიულსა და პიროვნულს შორის“.

ამ ღრმა დაკვირვებამ დიდებული ნიკოლოზ სერბი გამახსენა (ხოტბაშესხმულ), გონიერ ადამიანთა გამოცდილებაზე როდესაც საუბრობს, როცა ეს ადამიანები სულიერი სიბრძნისა და სიმშვიდის ისეთ საფეხურზე ავიდნენ, რომ მიხვდნენ: „რაც უფრო ვინროა ჰორიზონტი, მით მეტია მღელვარება, რაც უფრო ფართოა ჰორიზონტი, მით ნაკლებია მღელვარება. რაც უფრო ვინროა ჰორიზონტი, მით უფრო მეტია წარმოდგენა საკუთარ თავზე...“

უძველეს იაპონურ პოეზიაში, რომელსაც ძირითადად არისტოკრატია ქმნიდა — იმპერატორები, დედოფლები, პრინციები, მინისტრები, ფუჯევართა თუ სხვა დიდგვაროვან წარმატებულთა ოჯახებიდან და კლანებიდან გამოსული ადამიანები, მონაზვნები და ასე შემდეგ, რომლებმაც ნახეს და იგემეს მინიური სიამეთა ყველა ნაყოფი და ხიბლი, მივიდნენ ამა ქვეყნის ამაოებათა განცდამდე, ცოდნის, ეგრეთ ნოდებული მინიური სიბრძნის უარყოფამდე და პოეზიის ნყალობით სულის სიმშვიდე მოიპოვეს, სიბრძნით შეზღუდული ლექსის არა ერთი და ორი მარგალიტი დაგვიტოვეს, იმ სიბრძნისა, რითაც სუნთქვის წმინდა წერილი, ძველი და ახალი ალექსანდრის სახარებისეულ ნიგნიერ ფარისევლებზე ნათქვამი:

„თუკი ჭაობის ქედმაღალი გომბეშო ოკეანის ნაპირას აღმოჩნდებოდა, იგი განიკურნებოდა ქედმაღლობისაგან“ (თარგმანი ირმა რატინისა).

ივანე ამირხანაშვილის, როგორც კრიტიკოსის ნებისმიერი დაკვირვება, ყოველჯერზე ჯერ არის გულისხმიერი, ღრმა და ზუსტი, რომელიც განყენებულ, ზოგად ფორმულურებებს კი არ იძლევა, არამედ სწორედ ავტორის, ვთქვათ ამ შემთხვევაში, პოეტ გენო კალანდიას ლექსის სტრიქონებით ადასტურებს მას:

„უფალო, ცაში გეძებდი დიდხანს, თურმე შიგ გულში გქონია ბინა.“

პოეტის ამ აღმოჩენას კრიტიკოსი ერთგვარი ჩუმი სიხარულით განმარტავს:

„ამით აღიარებს, რომ მასში რწმენა, როგორც ეთიკური კატეგორია, რელიგიური ცნება იქცა. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს არც ძველის რღვევას მოასწავებს და არც ახლის დასაწყისს. ეს გახლავთ მიახლოება ფასეულობათა სისტემასთან, გახსნა დაფარულია.“

პოეტმა იგრძნო პირველსაწყისი და იცნო თავისი პოეტური სუვერენიტეტი. კაცმა რომ თქვას, მთლიანობაც ეს არის, პიროვნულ-შემოქმედებითი მთლიანობა.

ხოლო თუ არ არის, და აქმნება ამ მთლიანობის შიგნით, გადაწყვეტს მკითხველი, ბედი და სიტყვა“.

სწორედ მკითხველმა, დრომ და იღბალმა განსაზღვრა დღეს უკვე კლასიკად აღიარებულ ნაწარმოებთა ბედი და ადგილი თექვსმეტსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურაში.

„მიახლოება კლასიკასთან“ — ამ სათათურითაა გამოყოფილი ივანე ამირხანაშვილის ნიგნი „ტიკვილის დიალექტიკა“ პირველივე თავი (ჰაგიოგრაფია, დავით გურამიშვილი)... თავად ეს სათათური მიუთითებს როგორც ამ ძველების ყოველმომცველ, მასშტაბურ სამყაროზე, ისე მეცნიერის ბუნებაზე. მის მოკრძალებულ დამოკიდებულებაზე, თავმდაბლობასა და პროფესიონალურ პასუხისმგებლობაზე. სიტყვა „მიახლოების“ ნაცვლად ივანეს დონის მკვლევარს თავისუფლად შეეძლო, ვთქვათ, ასეთი რუბრიკა შეერქვა: „კლასიკის შესახებ“, ან „ჩვენი კლასიკა“ და ასე შემდეგ, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე მსგავსი ნაშრომების გამოცემისას.

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, გონების ჰორიზონტზე, ეგრეთ ნოდებულ განსწავლულობაზე, „პიროვნულ სუვერენიტეტსა“ და პიროვნულ-შემოქმედებით მთლიანობაზე, ივანე ამირხანაშვილზეც ზუსტად იმავე დასკვნების გამოტანა შესაძლებელია, რასაც იგი საუკეთესო ავტორთა შეფასებისას ახდენს. ხოლო კრიტიკოს, როგორც ლიტერატურული სფეროს (სამყაროს) ერთ-ერთი ჟანრის შესახებ ივანე ამირხანაშვილი მისთვის ჩვეული სიზუსტითა და ლაკონიურობით აღნიშნავს:

„მწარედ ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ კრიტიკას შეუძლია ნაწარმოების ახსნა. კრიტიკოსის მოვალეობა უფრო საქმიანია — მან უნდა წავაკითხოთ ნაწარმოები... პოეზია ზემოთა, ზემოთ კარნავალი, კარნავალი თამაში. პოეტი-კრიტიკოსი-მკითხველი: ანუ შემოქმედებითი ინტერპრეტატორი...“

ერთნაირად საინტერესოა ივანეს მიერ როგორც პოეზიაზე, ისე პროზაზე დანერგული ესეები, წერილები. ეს საკმაოდ რთული და იმპიათი შემთხვევად, დაახლოებით იმას ჰგავს, როცა მხატვარი ფერწერის სხვადასხვა ჟანრში, სხვადასხვა ტექნიკითა და მასალით (პორტრეტი, პეიზაჟი, კოლაჟი, ზეთი, აკვარელი, გუაში და ასე შემდეგ) ერთნაირი წარმატებით მუშაობს. კრიტიკოსს საფუძვლიანად იცნობს

ჟანრთა შესახებ არსებულ თეორიულ გამოკვლევებს, ისეთივე გულისყურით კითხულობს მათ, როგორც თავად მხატვრულ ნაწარმოებებში არასოდეს ერიდება განსხვავებულ, თუნდაც საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ექსპერტთა საწინააღმდეგო აზრებისა და ვარაუდების გამოთქმას. რადგან ეს „საწინააღმდეგო“, განსხვავებული აზრი, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, სულაც არაა თვითმიზანი. იგი უფრო ჭეშმარიტების დადგენის სურვილითაა (ვნებითაა) განპირობებული. პროზასთან, როგორც ჟანრთან დაკავშირებით, საილუსტრაციოდ ერთ მაგალითს მოვიტან:

„პროზა ძალიან ჰგავს ჭადრაკს. აქაც რამდენიმე სვლით ადრე თუ ვერ ხედავ მოვლენებს, ჯობს, არც შეეჭიდო. „შეეჭიდო“ ცუდი სიტყვაა, ეს არ არის პროზის სტიქია. ის უნდა შეეჭიდოს და არ მოგასვენოს. ის, ამბავი, რომელსაც მარტო შენ ხედავ.“

ნათელხილვა პროზაშიც ისევე აუცილებელია, როგორც პოეზიაში. ქმნადობის პრინციპია ხედავ“.

ძალიან კარგი მწერლის, გურამ მეგრელიშვილის პერსონაჟი ბიჭების დახასიათებისას („მეტროს ვაგონში“) კრიტიკოსი შენიშნავს:

„ოლონდ ერთი რამ არის საგულსხმო: მიუხედავად ყველაფრისა, მათში ჯერ კიდევ არსებობს მორალური ცენზორი, უნარი აქვთ შერჩენილი, სირცხვილისაგან განთილებების უნარი. თუ არ ვცდები, ეს უნდა იყოს მწერლის სტილური ნიშანი — ჰუმანიზმი, რაც უკვე პოზიციამ და თანავე ნიშანდობლივი“.

სხვათა შორის, იგივე ანუხედა ბერნარდ შოუსაც, რომელიც თავის დროზე წერდა: „რა ძნელია და სევდისმომგვრელია, იცხოვრო საზოგადოებაში, რომელიც თავმდაბლობას დასცილიან, რელიგიას ჩამორჩენილობად მიიჩნევენ, ხოლო მორცხვობას საკუთარ ძალებში დაურწმუნებელი ადამიანების კომპლექსებად“.

ყოველივე ამის შესახებ ვანო ამირხანაშვილის დასკვნა, ისეთივე უტყუარია, როგორც გამოცდილი ონკოლოგის შეუმცდარი დიაგნოზი, სიმსივნური მეტასტაზების დანახვის უნარი და მასშტაბები:

„დღეს თუ საითმე შეიძლება, წავიდეს პოსტმოდერნისტულ ჩიხში მოქცეული პროზა, უპირველეს ყოვლისა, ჰუმანიზმისაკენ. გურამ მეგრელიშვილი ამ გზას ადგას. სწორი გზის არჩევა ადვილი არ არის. ამას სჭირდება ალღო, გემოვნება, გამბედაობა ანუ ის, რასაც, ზოგადად, ნიჭს უწოდებენ“.

არაჩვეულებრივია ივანეს დაკვირვებით პროზის სტიქიაზე, როცა იგი ნუგზარ შატაიძის მოთხრობებზე საუბრობს:

„კითხულობ და ფიქრობ, რატომ არის ასეთი ალალი, სადა, მინიერი, გასაგები, მყარი, ღონიერი, მკაცრი. უთუოდ იმიტომ, რომ ენის სტიქიაშია. ენა იცის, კი არ ფლობს, ეს შეუძლებელია, თავს ფლობს ენის სტრუქტურაში. თავისუფალია გამოხატვაში. არ ეძებს, პოულობს, აგნებს, ცნობს. წინაპართა კულტურის თავყანისმცემელია. ტრადიციონალისტი, ადათ-წესების დამცველი. სიძველის აპოლოგეტი. ამავე დროს, არაორდინალური, სიახლის მიმდებარე, გამიზიარებელი, დამფასებელი“.

ასევე ღრმა და უაღრესად მნიშვნელოვანია პროზაზე, როგორც ჟანრზე, დაკვირვება უნიჭიერეს მწერალზე, კოტე ჯანდიერზე საუბრისას — საგანი ლექსის პოზიციამ, თვითჩაღრმავება კი პროზის, როცა აღნიშნავს ივანე ამირხანაშვილი და ამის საილუსტრაციოდ რაინერ მარია რილკეს როდენისადმი მიწერილი ბარათიდან საგულსხმო ფრაგმენტი მოაქვს:

„ლექსის წერისას გარეგანი საგნების რიტმი მეხმარება და ჩავითრევს ხოლმე, რადგან ლირიკული საზომი ბუნებრივად მოდის. ეს არის წყლის, ქარის, ღამის რიტმი. პროზის რიტმის მოსაძებნად კი საკუთარ თავში უნდა ჩაღრმავდე და აღმოაჩინო სისხლის უცნობი და მრავალფეროვანი რიტმი. პროზა ტაძარივით უნდა აიგოს, აქ მართლაც რომ უსახელო ხარ, ამბიციები და დახმარების ცარემზე, ხარაჩოებზე მხოლოდ საკუთარი გნობიერების ამარა“ (მზია ბაქრაძის თარგმანი). ახალგაზრდობაში ნაკითხული რაღაც ამდაგვარი აზრი მახსენდება რიტმის შესახებ, ლავროსი კალანდაძე გალაკტიონზე რომ წერდა.



მაკა ჯოხაძე

# ვირტუოზული ინტერპრეტაციები

დასასრული

ამ უფაქიხეს, საინტერესო დაკვირვებას ჩემეული გამოცდილებიდან მხოლოდ ერთს დავამატებდი: საკუთარი ცნობიერების გზებზე და მარშრუტებს უხილავი ხელი ისე წარმართავს, ეგრეთ ნოდებული მწერლური ფანტაზია არაფერ შუაშია. სწორედ ეს უხილავი ხელი თუ ძალა, პირველ ყოვლისა, ფანტაზიას კი არა, წარმოსახვას შეგრძნებების დონეზე ისე გიმძაფრებს, რომ არა მხოლოდ პერსონაჟთა (მოქმედ გმირთა) მიზნებსა და ნაბიჯებს ხედავ, არამედ ხედავ მათ სილუეტებს, ფორმებს, გესმის მათი ხმა, გრძნობ მათ სუნთქვას, გულსიცემას, ხედავ მათ სიზმრებს და, რაც მთავარია, ხედავ იდეას, მიზანს, რის განხორციელებასაც ეს ყველაფერი, ერთად აღებული, ემსახურება.

პროზა ტაძარივით უნდა აიგოს — ბრძანა რილკემ. არ უთქვამს არც სტადიონივით, არც კოლიჩუმივით, არც ჰიპოდრომივით, არც სახლივით... თქვა ტაძარივით. სტადიონისა თუ ჰიპოდრომის ტრიბუნათა ლიობას მასების, ხალხის, მაყურებლის რიტმი, სკანდირება, მათი ხმის ექოთა თარეში განსაზღვრავს... თვით სახლის რიტმსა და აკუსტიკას, ჭერთან ერთად, კედლებით შემოსაზღვრულ სივრცეში (ცხოვრების, ოჯახის წევრების ფიქრით და გულსიცემა. ხოლო ტაძრისას ღმერთი, რომელიც მარტო ამ ტაძრის კი არა, ზოგადად სამყაროს გუმბათად მოიაზრება. ამიტომ, დიას, სწორედ ამიტომ, პროზა ლოგოსის სიღრმისეული თანწყობით შექმნილი აზრებით გუმბათისაკენ, ესე იგი, ღმერთისკენ მიმავალი გზაა. ასე რომ, რილკეს ფორმულა — „პროზა ტაძარივით უნდა აიგოს“ — სულაც არაა პათოსით სავსე ლამაზი მეტაფორა, არქიტექტორის მთავარების წყარო მინიერი შენობის აგებისას. იგი უფრო გამუდმებით სულიერ განზომილებაში მყოფ ხუროთმოძღვართა ხვედრია.

დიდი მწერლები ნათელმხილველებივით გრძნობენ საფრთხეებს, მოულოდნელსა თუ პროცესების განვითარების ნიშნებსა და გზებს. მარკესისა არ იყოს, ოთარ ჩხეიძე თვის ავტობიოგრაფიულ რომანში „ჩემი სავანე“ ზედმიწევნით, შეიძლება ითქვას, გამოაგნებელი სიზუსტით იზინასწარმეტყველა ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის კრახი გლობალიზაციის პირობებში. ასევე ავად ენიშნა ათეული წლების წინათ დაწყებული ტენდენცია, სახელებით აღარ მოეხსენებინათ ქართული ღვინის მაუწყებელი (მაცნე) სხვადასხვა ჯიშის ყურძნები, დაეწოდებინათ ისე მიწოდებინათ მომხმარებელთათვის. მაგალითად, ჩემს ბავშვობაში სანდო და უკვე ძალიან პოპულარული იყო კვარტიან ბოთლებში ჩამოსხმული ეგრეთ ნოდებული N8. სადღაც გაქრნენ ჯადოსნური უღერადობითა და ფერადოვნებით მოელვარე სახელები: „კარდანახი“, „ტიბბანი“, „მანავის მწვანე“, „ციცკა“, „ოჯალეში“, „ცოლიკაური“, „გურჯაანი“, „წინანდალი“ და ასე შემდეგ. ეს იყო სახელის დარქმევის მისტიკური, იდუმალი აქტის სანინა-აღმდეგო, დესაკრალიზაციის პროცესი, რომელიც ეროვნული, სიღრმისეული შრეების დარბევა-განადგურებას, მეხსიერების არხის ამოქოლა-ამოშრობას ცდილობდა. ახალ წელთან შეხვედრასავით საჭირო იყო გარეთ გამოსვლა, საყოველთაო ხელმისაწვდომობა, გასაჯაროება, განყოფილება, გაუბრალოება, ისტორიულ წარსულთან, შენს კულტურასთან, ტრადიციებთან, ადამიანურ ცხოვრებასთან, გვარსთან კავშირის განწყვეტა, ინტიმის მოსპობა.

დღეს, როგორც პროდუქციას, ღვინოებს კი არა, ადამიანებსაც იმავე პრინციპით დაუწყეს დანომვრა, საკონცენტრაციო ბანაკებში რომ ნომრავდნენ ტყვეებს. ამ რომ-რებით შლიდნენ და აუქმებდნენ პიროვნულ მონაცემებსა და ღირსებას. ინდივიდი აღარავის სჭირდებოდა, რადგან იგი კოლექტივისაგან განსხვავებით, პრობლემატური და საფრთხის შემცველი იყო.

პიროვნება, ინდივიდი გლობალიზაციისთვისაც ისეთივე ზედმეტი და ხელისშემშლელი აღმოჩნდა, როგორც კომუნისტური თუ ფაშისტური რეჟიმებისათვის. უფრო მეტიც, თავის დროზე, თავისუფლებისა და თანასწორობის სახელით დაწყებული სექსუალური რევოლუციები, ბუნებრივი ბიოლოგიური ნორმების წინააღმდეგ საყოველთაო აჯანყებაში გადაიზარდა.

აღარანაირი პრინციპები, აღარანაირი ერთგულება, ყველაფერი დროის დინებას ემორჩილება. გუმბათისებრი ჰუმანიტეტები დღეს აგრესორებად გვევლინებიან. გუმბათისებრი აგრესორები კი ფრთიანი ანგელოზებისა და გვირგვინების მატარებლები არიან...

ასე რომ, ისევე როგორც უამრავი სხვა რამ, კოსმოსოლოგიის ზმიც მხოლოდ ბავშვობაშია სუფთა და უანგარო. ბავშვობა — ჩვენი უშიშრობის ხანა და ნაკრძალი.

ბავშვობაში ცა არის ცის ფერი, მზე არის მზის ფერი და ადამიანსაც ადამიანის ფერი ადევს. ეს მერე იწყება გაფერადება, როცა იწყება გაფეროვნება და ცა ხდება ტყვიისფერი, მზე მკვდრისფერი (ჩამავალ მზეს ქართულში „მკვდრის მზეს“ ეძახიან), ადამიანი თეთრი, შავი, ყვითელი, ყავისფერი...

დღეს ასე აქტუალური (თუ ყბადღებულო) სიტყვა „გლობალიზაცია“ სიტყვა „გლობუსიდან“, სფეროდან იღ-

ებს სათავეს. ჩვენი ხსოვნის ბავშვობისდროინდელი სანახები ციციანთელებით ამ ფირუზისფერ-ზურმუხტისფერი გლობუსებითაა სავსე, საჩვენებელი თითის შეხებით მთელს დედამიწას ცხვირწინ რომ გვიტრიალებდა. გენიალურმა ჩაპლინმა თავის ერთ-ერთ ფილმში გლობუსს ბავშვივით მიაპყრო ჩვენი ყურადღება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ საკლასო ოთახის მაგიდაზე შემოდგომულმა სფეროდ დიდი დიქტატორის თეძო-გაგაზე გადაინაცვლა და ამ, ერთი შეხედვით, მსუბუქი აკენწვლით მსოფლიოსათვის მეტად საშიში თამაში წამოიწყო.

მბრუნავ სფეროსთანვე დაკავშირებული ბავშვობისდროინდელი ჰეროიკული, უცნაური სახელები — ჯორდანო ბრუნო და გალილეო გალილეი... არადა ის, რაც მეცნიერებმა XVI ს-ში აღმოაჩინეს, რა ხანია ცნობილი იყო წმინდა კირილე იერუსალიმელისა და იოანე ოქროპირისათვის. ბასილ დიდი კი თავის ნაშრომში „ექვსთა დღეთათვის“, IV საუკუნეში წერდა, რომ დედამიწას ირგვლივ ყოველი მხრიდან უფსკრული აკრავს, რაც იმას ნიშნავს, რომ დედამიწა მრგვალია. წმინდა კირილე იერუსალიმელიც (IV ს.) აცხადებს: დედამიწა ცათა შორის წერტილივით უკიდია. უფრო ადრე ესაია ნინასწარმეტყველმა იცოდა ამ ქვეყნის მსახელებს, მაგრამ ყველაზე უწინ, ქრისტესობამდე 20 საუკუნით ადრე, ეს ქვეყნის მსახელებს უწყობდა იობ მრავალტანჯულმა. ამის შესახებ იობის წიგნის ოცდამეექვსე თავის მეშვიდე მუხლშია ნათქვამი, რომ ღმერთმა დედამიწა გამოჰკიდა არაფერზე, ღმერთმა „დაჰკიდა ქვეყანა არა-ვერასა-ზედა“, ესე იგი, „ღმერთმა არაფერზე, სიცარიელეზე დაჰკიდა დედამიწა, რაც იმას ნიშნავს, რომ დედამიწას არანაირი მატერიალური საყრდენი არ გააჩნია, არაფერზე „არა-ვერასა-ზედა“ დგას.

ასევე ქარების მოძრაობის წინააღმდეგ მთა-რიჩხლის თანამედროვე მეცნიერულ აღმოჩენამდე მრავალი საუკუნით ადრეა გაცხადებული იობის წიგნის ოცდამეექვსე თავში. ამიტომ ამბობდა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ფიზიკოსი, უილიამ ტონსონი, რომ ქვეყნის მიწა-წყვერება რელიგიის მტერი კი არ არის, არამედ მისი დამხმარეაო.

ამრიგად, დედამიწა, რომელიც წრეა, მრგვალია, სფეროა, ანუ გლობუსია, არაფერზე, სიცარიელეზე გამოჰკიდა ღმერთმა.

გამოჰკიდა და მიატოვა? რაღა თქმა უნდა, არა. ის ღმერთს უჭირავს თავის ყოვლისშემძლე, უხილავი ხელით, ანუ ღვთიური მადლით, ღვთიური ძალით, ღვთიური სიყვარულით.

კიდევ უამრავ აზრს, განცდას, ემოციას აღძრავს მართლაც რომ სიყვარულის ენერგიით სავსე ივანე ამირხანაშვილის „ფიქრების პანოპტიკონი“. თავისუფლად, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს წიგნი უახლესი ქართული ლიტერატურის გზამკვლევისა და წარმოადგენს. დასასრულს, არ შემოძლია, როგორც დასაწყისი, ისე საფინალო სტრიქონები მაინც არ ამოვწერო ვანო ამირხანაშვილის მიერ დავით გურამიშვილზე დაწერილი შედეგრიდან: „მხნე იყავ და განძლიერდი“.


„რატომ ვახსენებ დავით გურამიშვილს? მოვალეობას ვიხდით თუ ეს არის ნოსტალგია ქართული სიტყვის პოეტური სამშობლოს გამო?“ ასე იწყება ეს განსაცვიფრებელი ესეი და ეძღვნება იმ ფაქტს, რომ წელიწადის 365 დღე საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რათა საქართველოს ხელისუფლებას გახსენებოდა გენიალური ქართველი პოეტის დაბადების 300 წლისთავი“. ხოლო ესეი ამ სიტყვებით მთავრდება:

„დიდ პოეტურ შემოქმედებას ორი რამ ამოძრავებს: ირონია და შთაგონება. წინააღმდეგობათა ამ დიალექტიურ საქმიანობაში ზოგჯერ იქმნება ისეთი უთანასწორობა, რომ გგონია, სადაცაა ყოფიერების უფულო ირონია დაიტანს და მიწასთან გაასწორებს ხალას შთაგონებას, მაგრამ სწორედ ამ დროს მზესავით ანათებს ხოლმე ფერფლიდან აღმდგარი პოეზია. ამაში მდგომარეობს სიტყვის ღვთაებრივი ძალა. ამას გვეუბნება და გვასწავლის დავით გურამიშვილი. ამიტომ მოვუხმობთ იმედს და ვუთხრათ ერთმანეთს „მხნე იყავ და განძლიერდი, დავითს რაც უთქვამს, სწორია“. (2005 წ.).

ჩემი ღრმა რწმენით, სიტყვის ძალა განუყრელად თან სდევს ივანე ამირხანაშვილის მთელ შემოქმედებას. გულზე ხელი დავიდოთ და ისე ვთქვათ — განა ასე ხშირად განვიცდით დღევანდელ ნაწერებში მადლს, ან როგორც გრიგოლ რობაქიძე იტყვოდა, „ინტელექტუალურ სიხარულს“?!

ინტელექტუალური მზაკვრობა, ინტელექტუალური პატივმოყვარეობა, ინტელექტუალური ამბიციაცია, ინტელექტუალური ხრიკები, ინტელექტუალური შური და ღალატი, ინტელექტუალური პროსტიტუცია და ასე შემდეგ. რა მოთვლის ლეგიონებს...

„ინტელექტუალური სიხარული“ კი... იშვიათად. რახანია, იმ ავტორზე და მის ახალ ნიგნზეც მინდოდა საუბარი, რომლის სიტყვასა და მოღვაწეობას ლიტერატურის ასპარეზზე სწორედ ეს ღვთიური მადლი გამოაჩინებს.



## დღეა

დღეა, ფიქრების სასაფლაოდან ჩუმი ჩურჩული ქარმა ინება, წვიმა ქარბუქის ხმაზე ბლაოდა, დროც ვერ ვიპოვე დასაძინებლად...

დღეა სურვილთა ტყვე და მისანი, ცა მოქუფრული მიძლის კაემანს, ვქერნე აზრები გაუხიზნავი, შემოვიკედლე, რომ არ გამეშვა...


დღეა გულცივი, ყინულის ლოლო, აბგად ავკიდე გულს ფიქრთა ურვა, გავალ ხმაურის სახლიდან, ხოლო სიცოცხლეს ქუდად გადავიხურავ...

## შენით

დავკავებდი აღმოჩენით, თავად ვადგენ მაგალითებს, მოფიქრალი აღმოვჩნდები და აზრს გავაშარგალიტებ... მელოდიის კენესა მესმის,

სათქმელს შევწვდი მტკნარი რითმით, გეტყვი: წერით დავიჭერი, ანდა, არაფერი მითქვამს... ნერვებს სრულად სული მოსავს, სამოსივით ფრაზებს ვაკრავ, ვადრი დილით შენთან მოსვლას, გპოულობ და შენვე მკარგავ...

მელნის ზღვაში ვდგავარ ბავშვი, მემატება მელიზმები, ატომივით ფრაზებს დავშლი, ტკივილით რომ გავიზრდები... კარგად ვიცი, სად ხარ, ისიც, სააკლდამო სიტყვის კონავ, არ ვარ ანემოს საძრახისი, მოველ ღმერთის შესაცნობად.



წვიმის წვეთი პაკი და ილუზიონისტი ქული

ღრუბლიდან გადმოხტარი პაკი ცირკის სახურავზე დაცა. შენობიდან მუსიკის ხმა და თავშეუკავებელი სიცილი მოისმოდა. პაკი ძალიან დაინტერესდა, სახურავზე დაცურდა, პატარა ღრუბელი იპოვა და ცირკში შეაღწია. მის თვალწინ საოცარი სანახაობა გადაიშალა — მრგვალი არენაზე, ორი სასაცილოდ ჩაცმული ჯამბაზი, რომლებსაც ცხვირზე ნითელი ბურთულეები ეკეთათ და უზარმაზარი ფეხსაცმელები ეცვათ, მურა დათვთან ერთად მაყურებლებს გულიანად აცინებდნენ. მერე დაძაბული მუსიკა გაისმა და არენაზე მფრინავი აკრობატები და ბაგირზე მოსიარულეები გამოვიდნენ, რომლებმაც ცირკის გუმბათქვეშ გაჭიმულ ბაგირზე სახიფათო ილეთები შეასრულეს, არენაზე ილუზიონისტი გამოჩინდა კი ყველა ტამით შეეგება. ილუზიონისტი თეთრი პერანგი ეცვა, პერანგზე ნითელი ბაფთა ეკეთა და შავი მანტია ჰქონდა მოსხმული. პაკის ყველაზე მეტად ილუზიონისტის შავი, მაღალი ქუდი მოეწონა. ქუდს გარშემო კაშკაშა, ნითელი ატლასის ლენტის ჰქონდა შემოვლებული, ხელში კი ჯადოსნური ჯოხი ეკავა.

ილუზიონისტი მაყურებელს მიესალმა, მაღალი ქუდი მოიხადა და პატარა მაგიდაზე ამობრუნებული დადო. მერე ჯადოსნური ჯოხი ქუდს დაჰკრა, საიდანაც კურდღელი ამოხტა, ჯოხის შემდეგ დაკვრაზე კი ქუდიდან თეთრი მტრედი ამოფრინდა. მაყურებელმა ტამი დასცხა.

პაკიმ ქუდში ჩახვიდა და დაეწვიდა. წვიმის წვეთი ელექტროსადენს გაჰყვა, ქუდს გაუსწორდა და ის იყო შიგ უნდა ჩაეხედა, რომ სადენს მოსწყდა და პირდაპირ მაღალი ქუდის ფსკერზე მოადინა ზღართანი.

პაკი ეგონა, ქუდი სხვადასხვა არსებებით იქნებოდა სავსე, მაგრამ ბინდებულში ვერავინ რომ ვერ დაინახა, შეშინდა და გადამწყვიტა, ილუზიონისტისთვის მიეწვინა ხმა, მაგრამ დაყვირებაც ვერ მოასწრო, ქუდის ფსკერი რომ გაირღვა და პაკი უძირო უფსკრულში ჩაქანდა. ერთ ხანს იფრინა და აბაზანის ღრუბლებით სავეყე ყუთში რბილად ჩავარდა. პაკი ნამოდგა და გარშემო დაკვირვებით მიმოიხედა. ბნელი, უჰაერო გვირაბები სხვადასხვა მიმართულებით გადიოდა. პაკი ერთ მათგანს გაუსყვა. გარკვეული მანძილის შემდეგ გვირაბი ორად გაიყო, პაკიმ მარჯვნივ გაუხვია და თვალუწვდენელ სივრცეში ამოჰყო თავი. წამში ყველაფერი განათდა და პაკის მზის სიკაშკაშემ თვალი მოსჭრა. თქარათქურის ხმა გაისმა და ზებრებზე ამხედრებული შიმპანზეების დანახვამ პაკი მთლად დააბნია.

„უცებ ცა მოიღრუბლა და დაიჭექა. „რა კარგია, მაღლე ჩემი თანამოძმეები მესტუმრებიან და მარტო აღარ ვიქნები!“ — გაუხარდა პაკის. თუმცა მისი სიხარული ხანმოკლე გამოდგა. კიდევ ერთხელ დაიგრუხუნა და ციდან ბაბუნაწვერების წვიმა წამოვიდა. ბაბუნაწვერები ნარნარად ეშვებოდნენ. იქაურობა, საიდუმლო ილუზიონისტი ქუდიანი რუხი კურდღელი ამოვიდა, ბაბუნაწვერებით გადათეთრდა. კურდღელმა ქუდი მოიხადა, ჯადოსნური ჯოხი დაჰკრა და ჰოი, საოცრებაც, ქუდიდან თავად ილუზიონისტი ამოხტა. პაკი ყვირილით მისკენ გაიქცა. კურდღელმა ჯადოსნური ჯოხი გაიქნია და ილუზიონისტი პატარა თოჯინად გადაიქცა. კურდღელმა ნითელ-ლენტისი ქუდი დაიხურა და სკუპ-სკუპით გაიქცა.

პაკის ბრაზი მოერია და გულმოსულმა დაიყვირა:

- ახლავე ცირკში დამბარუნეთ!
- რა გაყვირებს? ისედაც ცირკში ხარ!
- ცაზე კურდღლის თვალები გამოისახა.
- დამცინი?! — კიდევ უფრო გაბრაზდა პაკი.
- სულაც არა, ეს მხოლოდ ილუზიაა.
- არ მინდა ასეთი ილუზია, ღრუბლებში მინდა! — პაკიმ ხმა გაიმკაცრა.
- ნება შენია. გორაკის ძირში რომ გამოქვაბულია, იქ შედი და შენი სურვილი ასრულდება.

პაკი გვირაბში სირბილით შევარდა, შესასვლელში ამოთხრილი ორმო ვერ შეამჩნია და კვლავ უძირო ღრმულში ჩავარდა.

სულელი ვარ, მატყუარა კურდღელს როგორ ვენდე, ახია ჩემზე — საკუთარ თავს უსაყვედურა პაკიმ.

რაღაც ყველაზე უცნაური იყო, ვარდნისას ვის აღარ ჩაუქროლა. ოღონდ, მისგან

აკაკი დაუშვილი წვიმის წვეთი პაკი

განსხვავებით, ყველანი ქვემოდან ზემოთ მიფრინავდნენ. პირველად დიდი ხნის უნახავი წვიმის წვეთი ლაი შემოხვდა და მწვანე თვალები სიყვარულით შეანათა, მერე ოქროს თევზმა გაბიძგა აუქროლა და კუდი დაუქნია, შემდეგ პეპელა პელო ამოფარდა, რომელსაც ობობა ბუჯო ამოჰყვა. მზის სხივებმა — პინკინამ და თინიმ — იქაურობა ელვასავით გაანათეს, მერე საპაე-რო ბურთი ამოფრინდა, რომლის კალათაში მოლიმარი გოგონა ნიაკო, ყვავი ყვანრო, პილოტი, კეპიანი კაცი, მისი მეუღლე და ბავშვები ისხდნენ. ბოლოს პაკი რძისფერ ბურუსში ჩაიძირა და გონს ღრუბელში მოეგო. წვიმის წვეთები გაკვირვებით შესცქეროდნენ დაბნეულ პაკის.

— ეს ილუზიაა! — თქვა პაკიმ, თავიდან ნითელ-ლენტისი ილუზიონისტი ქუდი მოიხადა და ღრუბლიდან მოისროლა. ქუდს არწივის ფრთები გამოება, ცაში კამარა შეჰკრა, ჩახლენილი ხმით დაიყვავა და კლდოვანი ქედისკენ გაფრინდა.

წვიმის წვეთი პაკი და ცრემლის წვეთი ცირიკო

პაკი ყვავილის გვირგვინში იჯდა, როდესაც გვერდით წვეთი დაუხკუნდა.

— წვიმა არ მოდის, შენ აქ საიდან გაჩნდი? — გაუკვირდა პაკის.

— მე ცრემლის წვეთი ცირიკო ვარ, — თქვა წვეთმა, — ციყვი თუკოს ცრემლი, რომელიც ნეკერჩხლის ტოტზე ფულუროსთან ზის და ტირის.

პაკიმ ზევით აიხედა და ციყვი დაინახა.

— რატომ ტირის? — შეეცოდა პაკის.

— არ ვიცი. საერთოდ ცრემლი მწუხარების, ტკივილის და სიხარულის დროსაც კი სდით. მე ალბათ მწუხარების ცრემლი ვარ, რადგან ციყვს არც ეცინება და არც ტკივილისგან ემანჭება სახე. ისე, ნიანგის ცრემლებიც არსებობს. სამინელი მტაცებელი ღვარღვარა ცრემლებს დაღვრის, თავს შეგაცოდებს, მიგიტყუებს და პირს გტაცებს.

— ციყვი ვნახოთ! იქნებ რა უჭირს, იქნებ რამით დავეხმაროთ? — თქვა პაკიმ. წვეთები ხეზე აცოცდნენ.

— რატომ ტირი? — ჰკითხა პაკიმ ციყვს.

— ვილაცამ ყველაფერი შემიჭამა, ფულუროში არაფერი დატოვა, — ციყვმა თეკომ ამოიხსულა, — ზამთარში, ორ შვილთან ერთად შიმშილით დავიხოცებო.

— ნუ გეშინია, დავეხმარებით, — დაამშვიდა პაკიმ, თუმცა არ იცოდა, როგორ დახმარებოდა.

— ხეზე ასვლა ყველას არ შეუძლია, — თქვა ცირიკომ.

— მართალია. ან ფრინველი უნდა ყოფილიყო, ანდა ის ცხოველი, რომელსაც ხეებზე ძრომიალი შეუძლია, — დაასკვნა პაკიმ.

— ეჭვი არავიზე არ მაქვს. ტყეში ძალიან მეგობრულად ვცხოვრობთ, ასე არავინ გამიმეტებდა, — წყენით თქვა ციყვმა თეკომ.

— ვინც არ უნდა იყოს, ან გამოცდილი ქურდია ან დიდი ნუნკი და ღორმუცელა, — თქვა პაკიმ და ხეზე ბრწყყალების ნაკვალევი შეამჩნია. მერე მიწაზე ისკუპა და ნაფხურებიც გაარჩია.

პაკი და ცირიკო ხარბი ქურდის კვალს მიჰყვნიდნენ და დიდი მუხის ძირში ბუნაგის შესასვლელთან არხინად წამოწოლილ და ჩაძინებულ დათვის ბელს წამოადგენენ თავს.

— ქურდი ნამდვილად ბელია. კარგად გამოძდა და ბუნაგთან ჩაეძინა, — თქვა ცირიკომ.

— ბელო, გაიღვიძე! — შესძახა პაკიმ. ბელმა თვალი გაახილა, დაამთქნარა, გაიზმორა და უემყოფილოდ თქვა:

- რატომ გამაღვიძეთ?
- ციყვი თუკოს ფულუროში შენ იყავი?
- მკაცრად ჰკითხა პაკიმ.
- ფულუროში ვიყავი, მაგრამ თუკოსი თუ იყო, არ ვიცი, — თავი იმართლა ბელმა.

— ყველაფერი შენ შეჭამე? — უმალ ჰკითხა ცირიკომ.

— კი, მე შეჭამე, — ურცხვად დაეთანხმა ბელი.

— რატომ შეჭამე? — გაუწყრა პაკი.

— მშიოდ და იმიტომ, — თავხედურად უპასუხა ბელმა.

— პატარა ღორმუცელა, იცი, რომ ციყვი და მისი ორი დღნაჩვი ზამთარში მშინი დატოვებ? — დაუცაცხანა ცირიკომ.

— ვინ? — თითქმის ერთდროულად ჰკითხეს გაკვირვებულმა პაკიმ და ბელმა.

— დღნაჩეს ციყვის შვილს ეძახიან.

— ჰოი! — თქვეს ბელმა და პაკიმ.

— ციყვი და ორი დღნა-დღნა-ჩვი რომ მშიერი დავტოვებ, მაგაზე არ დავფიქრებულვარ, — ენის ბორძიკით თქვა ბელმა.

— არ დავფიქრებულა ვაჭბატონი, — გამოაჯავრა ცირიკომ.

— უცებ დედა დათვი ბუნაგიდან გამოძვრა. ბელის მუსუნაგობის ამბავი რომ გაიგო, ძალიან ეწყინა და ბელს გაუწყრა:

— როგორ არ გრცხვენია! ნამდვილად მისატყუები ხარ, — პაკი და ცირიკო კი დაამშვიდა, — დარდი ნუ გექნებათ, სხვა დათვებსაც გაავაგებინებ და ციყვს და მის დღნაჩევს მშიერს არ დავტოვებ.

ციყვის გასაჭირი მალე მთელმა ტყემ შეიტყო და თეკოს ფულუროში ყველას რალაც სასუსნავე მიჰქონდა. ფულურები ზუზუნითა და თითო წვეთი თაფლით მიფრინავდნენ, კურდღელი თებრო სტაფილოთი მიხტოდა, პაკი და ცირიკო მუხისა და ნიფლის თესლებს მიაგრუნებდნენ, მაჩვე მანუჩარს კალათით სოკოები მიჰქონდა, კოდალა კაკუ ზამთრისთვის გადანახული რკოთი მიფრინდა, ხვლიკი კოსტა ნამდაუნუმ რალაცას ეზიდებოდა, დათვები მაყალო ვაშლით, თხილითა და სხვადასხვა კენკრით დატვირთულით მიბაჯბაჯებდნენ. ფულურო პირთამდე გაივსო.

გახარებულმა ციყვმა თეკომ ჟოლოს ტორტი გამოაცხა და მყვლის ჩაი აადუღა. გათენებამდე ისმოდა ციყვის მეგობართა ხალისიანი ხმები. დარცხვენილი ბელი კი, ორ დღნაჩევთან ერთად, გემრიელად შეექცეოდა ტორტის დიდ ნაჭერს.

წვიმის წვეთი პაკი და ნიანგი ნოშრა

პაკიმ ჯერ კიდევ ღრუბლიდან გამომხტომამდე შეამჩნია სიმწვანეში ჩაფლული მდინარე ლიმპოპო, რომელსაც ბოლო არ უჩანდა და სწორედ მდინარის ნაპირას დახტა. შხაპუნა წვიმამ გადაიღო და მცხუნვარე მზემ სანაპირო სწრაფად ააშრო. პაკი ლიმპოპომ დაინტერესდა და გადამწყვიტა, ერთხანს აქ დარჩენილიყო. მცხუნვარე მზეს ორთქლად რომ არ ექცია, წვიმის წვეთმა უზარმაზარ ბაობაბის ხეს შეაფარა თავი. უცებ ვილაც ხმამალა ატირდა. პაკიმ ირგვლივ მიმოიხედა და ბაობაბთან ახლოს ნიანგი დაინახა, რომელსაც სახე დამანჭოდა, პირი დაეღო და მოთქმით ტიროდა. პაკის ცირიკოს გაფრთხილება გაახსენდა, ნიანგიც ცრემლებს თავის შესაცოდებლად და მსხვერპლის მისატყუებლად აღვარღვარებენო. პაკის ნიანგი მანც შეეცოდა, ფრთხილად მიუახლოვდა და ჰკითხა:

- რატომ ტირი?
- კბილი მტკივა, ჩემი მკურნალი ჩიტები — ალღები — აღარ მოდიან, ეტყობა, ბარტყების გამოსაჩვენად სამშობლოში გაფრინდნენ. კბილებს კი, მათ მეტი, არავინ მისუფთავებს და აი, რა დღეში ჩავვარდი, — ნიანგმა მძიმედ ამოიხარა.
- რა გქვია? — პაკიმ ნიანგს სიბრაულულით შეხედა.
- ნომრე. შენ?
- პაკი.
- პაკი, კბილებს ხომ არ გამისუფთავებ? ნუ გეშინია, არ გადაგყლაპავ, — ნომრემ ღრმად ამოიხსუნა.
- ნომრე, ჩიტები ნარჩენებს ნისკარტით გაცლიდნენ, სამწუხაროდ, მე ნისკარ-

ტი არა მაქვს, თორემ არ დაგზარდებოდი, — პაკიმ მინც სიფრთხილედ გამოიჩინა.

— ვაი, კბილი! — შეჰყვირა ნინგმა ნომრემ, — ყველას ბოროტი ვგონივარ, არადა მეც მინდა მეგობრები, გართობა და თამაში.

— უცებ მდინარიდან ბეჭემოთმა ამოყვინთა, ნაპირზე ზანტად ამოვიდა და ნომრეს ზურგი აქცია.

— ერთ მდინარეში ცხოვრობთ და ბეჭემოთთან რატომ არ მეგობრობ? — დაინტერესდა პაკი.

— ბეჭემოთს ჩემთან მეგობრობა არ უნდა.

— ნომრეს ცრემლებმა არ მოგატყუოს, — თქვა ბეჭემოთმა ბეჭემ.

— ბეჭე, ვინახია, რომ ოდესმე ვინმე შემეჭამოს? — წყენით თქვა ნომრემ.

— ნომრე, ნიანგები მუდამ ვილაცას ჭამენ, — ისე თქვა ბეჭემ, თავი არ მოუბრუნებია.

— ხო გითხარი, ჩემი არავის სჯერა, — დანალღიანდა ნომრე.

— ნავალ, მეგობრებს მოგიძებნი! — დააიძვდა პაკიმ და გზას გაუდგა.

პაკის პირველად ვეფხვი შემოხვდა.

— ვეფხვი, ნიანგ ნომრეს მეგობრების პოვნაში ვეხმარები, ხომ არ დაუმეგობრდები? — ჰკითხა პაკიმ.

— კარგ მეგობარს რა სჯობია, მაგრამ ნიანგს ვერ დავუმეგობრდები, — შორს დაიჭირა ვეფხვა.

— რატომ? — ჩააცვიდა პაკი.

— არავინ ენდობა და იმიტომ.

— მზე რომ დასავლეთისკენ გადაიხრება, მდინარის ნაპირზე, უზარმაზარ ბაობაბის ხესთან მოდი და თვითონ დარწმუნდები, რომ ნომრე სულაც არაა საშიში.

— მოვალ, ვნახავ, როგორ აპირებ ნიანგის გაკეთილშობილებას, — ჩაიცინა ვეფხვა.

პაკიმ გზა განაგრძო. ახლა ჟირაფი შემოხვდა.

— ჟირაფო, ნიანგი ნომრე მეგობრებს ეძებს, ხომ არ დაუმეგობრდები? — პაკიმ თხოვნიტ ჰკითხა და ჟირაფის გრძელ კისერს თვალთ ააყოლა.

— ჟირაფი ცახცახმა აიტანა და ხმის კანკალით თქვა:

— რას ამბობ, რა იცის ნიანგმა მეგობრობის! — იუარა ჟირაფმა.

— კარგე, ოღონდ მზე რომ დასავლეთისკენ გადაიხრება, მდინარის ნაპირზე, უზარმაზარ ბაობაბთან მოდი და ნახავ, რომ ნომრე ბოროტი არაა.

— მხოლოდ იმიტომ მოვალ, მის სიავე-კაცეში კიდევ ერთხელ დავრწმუნდე, — თქვა ჟირაფმა და წვიმის წვეთს გასცილდა.

პაკის გზაში შემოხვდა: ზებრა, მარტორქა, სპილო, ლეოპარდი, გორილა და ნიანგ ნომრესთან მეგობრობაზე ყველამ უარი თქვა, სამაგიეროდ ბაობაბთან მისვლას დაჰპირდნენ.

პაკი სანაპიროზე დაბრუნდა, ამასობაში მზეც გადაიხრება და ცხოველები მდინარესთან, უზარმაზარ ბაობაბთან შეგროვდნენ.

— მე მჯერა ნიანგი ნომრესი! — წამოიძახა პაკიმ და ბურქს ეკალი მოაძრო, — ნომრე, აბა, პირი დააღე, კბილი უნდა ამოგისუფთაო.

ნომრემ უზარმაზარი პირი დააღო. პაკი ერთ წამს შეეგნდა, ნიანგს თვალებში ჩახედა, სადაც სიბოროტის კვალიც კი ვერ შენიშნა, დაფრენილ პირში უშიშრად შეაბიჯა და მტკივანი კბილი გაუსუფთავა. ცოტა ხანში ნიანგს კბილი დაუამდა.

— მაღლობა, პაკი, ნამდვილი მეგობარი ხარ, — ნომრემ გაიღიმა.

— ხედავთ, ნიანგმა ნომრემ არაფერი მავნო, სულაც არა ყოფილა მატყუარა, — ხმამალა თქვა პაკიმ.

მეტისმეტად გახარებულმა ნიანგმა ნომრემ მშვენიერი ხმით ძალიან მხიარული სიმღერა შემოსძახა. ისე კარგად მღეროდა, რომ შეკრებილი ცხოველებიც აჰყვნიდნენ. ნომრესთან ჯერ ჟირაფმა იცეკვა, მერე ლეოპარდმა, გორილამ, სირაქლემამ და ლემურმა. ბეჭემოთმა კი რამდენჯერმე ჩაბუქნა. ყველა კარგ ხასიათზე დადგა, ბევრი იმღერეს, იცეკვს და იხიარულეს. ბოლოს კი ნიანგ ნომრეს სიყვარულით გადაეხვივნენ და ძმობა შეჰფიცეს.

— მაღლობა, პაკი, შენ რომ არა, არავინ დამიმეგობრდებოდა, — ნიანგ ნომრეს სიხარულის ცრემლები გადმოსცვივდა.



წვიმის წვეთი პაკი და ჭიანჭველა ბუჭო

სალამომავლობა, წვიმა რომ წამოვიდა. ჭიანჭველა ბუჭოს ბუდეში ხორბლის მარცვლი მიჰქონდა. მარცვლი მიიმე იყო, მაგრამ შრომისმოყვარე ბუჭო ზამთრის საკვებს ბუდეში გაჭირვებით, ნაბიჯ-ნაბიჯ მიათრევდა და ჭიანჭველების გუნდს ჩამორჩა. უცებ წიფლის ჩამოტეხილ ტოტზე ფეხი დაუცდა და ძირს გადავარდა. ხორბლის ნალება კი არა, ნატკენი ფეხით ნაბიჯსაც ვეღარ დგამდა. ვეღარც მეგობრებს მიაწვდინა ხმა. რაღას იზამდა, ღამე აქ უნდა გაეთია.

ღრუბლიდან გადმომხტარმა პაკიმ ჩამავალი მზის სხივებზე ღამაზ მინდორს მოაველო თვალი.

მგონი, აქ ერთხელ უკვე ვიყავი — გაიფიქრა პაკიმ და როდესაც განმარტობით მდგარ ცაცხვის ხეს ჰკიდა თვალი, ობობა ბუჯო, პეპელა პელო გაახსენდა და წიფლის ჩამოტეხილ ტოტთან დახტა.

— ვაი, დედიკო! — ვილაცის გამწარებული ხმა შემოესმა პაკის. ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ ვერავინ შენიშნა, — ვინ ხარ?

აქა-იქ ჭრიჭინების ჭრიჭინი გაისმა. პაკიმ იქაურობა დაკვირვებით შეათვალიერა, მორთან მინოლილი ჭიანჭველა დაინახა და უცნობისკენ გაემართა.

— წვიმის წვეთი პაკი, — თქვა პაკიმ.

— ჭიანჭველა ბუჭო! — ჭიანჭველას ტკივილისაგან სახე მოეღრია.

— ბუდეში რატომ არ მიდიხარ? სადაცაა მთლად დაბნელებული, — ჰკითხა პაკიმ.

— ფეხი გადამიბრუნდა, ვეღარ მივდივარ, — უპასუხა ბუჭომ.

— ბუჭო, მარტო არ დაგტოვებ, ღამე შენთან დავრჩები, — გაამხნევა პაკიმ.

— დიდი მადლობა, პაკი, შენთან ერთად მშვიდად ვიქნები.

— აქ ჩემი მეგობარი ობობა ბუჯო ცხოვრობს, ერთხელ ღრუბლებში ავიყვანე.

— მართლა? ბუჯოს მეც ვიცნობ, კეთილი ობობაა. ღრუბლებში მეც სიამოვნებით გავისეირნებდი, — ინატრა ბუჭომ.

— ფეხი რომ მოგირჩება, აუცილებლად გაგასეირნებ, — დაჰპირდა პაკი.

ბადრი მთვარე მინდორს ვერცხლისფრად ანათებდა. უცებ მორის უკნიდან რკოსფერი, მარტორქა ხოჭო გამოლოდა, რომელსაც უკან გადაღუნული რქა საშიში იერს აძლევდა. ხოჭო ჭიანჭველას წინ შედგა, ხორთუმი გამოსწია და მუქარით უთხრა:

— მე მარტორქა ყუჟა ვარ, მშია და უნდა შეგჭამო!

— ხელს ვერ ახლებ! — მტკიცედ თქვა პაკიმ.

— ბიჯოს! — გაუკვირდა ხოჭოს, — ეს ვინაა? ერთ ყლუპად არ მეყოფი, აქედან მოუსვი! — გადაიხარხარა ყუჟამ.

— ყუჟა, შენი არავის ემინია! — პაკიმ ბალახებში ჩავარდნილი მაცვლის ეკალი აიღო და რქასთან მიუტანა, — მაგ რქას მოგაჭრი.

— ძმაო პაკი, — შეჰყვირა ობობა ბუჯომ და მარჯვდ ნასროლი ქსელის ბადე ყუჟას გადაეფარა.

თავიდან ხოჭო დაიბნა, მაგრამ გონს რომ მოეგო, გაჭირვებით, მაგრამ რქით ბადე გახია და ბუჭოსკენ წავიდა. პაკი და ბუჯო ჭიანჭველას გადაეფარნენ. ამ დროს ჩირაღდნებით შეიარაღებული ჭიანჭველების გუნდი გამოჩნდა. ხოჭო ყუჟამ ერთხანს იყოყმანა, მაგრამ ამდენ ჭიანჭველას რომ მოჰკრა თვალი, ფრთები გაშალა და თავს უშველა.

— ბუჭო, ბუდეში რომ აღარ დაბრუნდი, მაშინვე შენს საძებნელად წამოვიდით, — თქვა ჭიანჭველების წინამძღოლმა.

როდესაც ჭიანჭველებმა პაკისა და ობობა ბუჯოს საქციელის შესახებ შეიტყვეს, სტუმრად მიიწვიეს. პაკის და ბუჯოს გულთბილ მიპატიჟებაზე უარი არ უთქვამთ.

ბუჭო ჭიანჭველებმა ფოთოლზე დაანვინეს, ასწიეს და ფრთხილად წაიყვანეს. ჭიანჭველებმა ჩირაღდნები ბუდესთან

აკაკი დაუშვილი



წვიმის წვეთი პაკი

ჩამამარეს და პაკის და ბუჯოს მადლიერების ნიშნად გათენებამდე მხიარულად მასპინძლობდნენ.

წვიმის წვეთი პაკი და წინილა კინი

პაკი პატარა სოფლის განაპირა მინდორზე მინიდან წასულ, ყვითელ, საყვარელ წინილას გადააწყდა.

— ვინ ხარ, პატარა? — ჰკითხა პაკიმ.

— წინილა, კრუხის შვილი, — უპასუხა წინილამ.

— სახელად რა გქვია?

— სახელი არა მაქვს, — მოიწყინა წინილა, — კვერცხიდან ბოლოს მე გამოვიჩეკე და დედაჩემი მას მერე ნაბოლარას მეძახის. იმდენი შვილი მყავს, შენი სახელის მოგონება გამიჭირდა, ფიქრისგან თავი ამტკივდაო, ასე მითხრა დედა.

— გინდა, სახელი დაგარქვა? — შესთავაზა პაკიმ.

— მართლა დამარქმევ სახელს? — გაუხარდა წინილა.

— მაგას რა უნდა!

პაკიმ იფიქრა, იფიქრა, იმდენი იფიქრა, რომ ფიქრისგან თავი ასტკივდა, მაგრამ წინილას შესაფერისი სახელი ვერაფრით მოიგონა.

— აბა, მომიფიქრე სახელი? — იმედიანად ჰკითხა წინილა.

პაკიმ უარის ნიშნად თავი გაიქნია. ნაბოლარა დანალღვიანდა.

პაკიმ მაჩუქარს მოჰკრა თვალი.

— მანუჩარ, წინილას სახელი დაარქვი, რა, — შეეხვეწა პაკი.

— შემეშვი, ახლა მაგის თავი არა მაქვს, — იუარა მაჩუქმა.

— გთხოვ, მოინდომე. მანუჩარ, ნაბოლარას გულს ნუ დაწვევტო, — კიდევ ერთხელ სთხოვა წვიმის წვეთმა.

— საჩუქრად რას მომცემ? — მანუჩარი პასუხის მოლოდინში გაისუსა.

— რასაც მომთხოვ, — დაუფიქრებლად უპასუხა პაკიმ.

— მართლა? — გაუკვირდა მაჩუქს.

— მართლა! — დამაჯერებლად თქვა პაკიმ.

— კარგი, ოღონდ არ მომატყუო, — გააფრთხილა მანუჩარმა.

მაჩუქმა იფიქრა, იფიქრა, იმდენი იფიქრა, რომ ფიქრისგან თავი ასტკივდა.

— აბა, საჩუქარი მოგიტანო? — ჰკითხა პაკიმ და მანუჩარს იმედით შეაცქერდა.

— თავი დამანებეთ! არც საჩუქარი მინდა და აღარც სახელის მოფიქრება! — მა-

წუნარმა შუბლზე სველი ფოთოლი შემოიკრა და იქაურობას უქმაყოფილოდ გასცინდა.

პაკიმ ახლა ტყის თავუნა ცუცა დაინახა:

— ცუცა, წინილას სახელს დაარქმევ?

— სიამოვნებით დავარქმევ, — მშვიდად თქვა თავუნამ.

— იმედი, მართლაც დაარქმევ, — თავისთვის ჩაილაპარაკა პაკიმ.

თავუნა ცუცამ იფიქრა, იფიქრა და თავრეტდასხმული სოროსკენ გაცუნტულდა.

— სახელის დარქმევა გაცილებით ძნელი ყოფილა, ვიდრე ღრუბლიდან გამომხტომა, — დანალღვიანდა პაკი, თუმცა უცებ დიდი, ცისფერი თვალები სიხარულისგან აუბრწყვიალდა და აღფრთოვანებისაგან შესძახა, — კინის დაგიძახებ!

— კინი! კარგი სახელია, — გაუხარდა კინის.

უცებ აღლევებული ქორხორა კრუხი კრიახით მოვარდა, უკან წინილები მოსდევდნენ. კრუხმა ნაბოლარას კინკრიხოში მუსუბუქად წაუთქა.

— ნაბოლარა, გული რატომ გამიხეთქე? — აქოთქოთდა კრუხი.

— მე კინი მქვია. წვიმის წვეთმა პაკიმ დამარქვა, — სიამაყით თქვა კინიმ და პაკისკენ გაიხედა.

კრუხმა ახლალა შენიშნა გაღიმებული წვიმის წვეთი.

— კინი, მშვენიერი სახელია, — კმაყოფილებით აღნიშნა კრუხმა, — ყოჩაღ, პაკი, კარგად მოგიფიქრებია. შვილო კინი, ამიერიდან კინის დაგიძახებ.

— კინი! კინი! კინი! — წინილები სიცილით შემოეხვივნენ კინისა და პაკის.

წვიმის წვეთი პაკი ყინულის გურთულად გადაიქცა

ღრუბელი უცებ გაშავდა, ქარიშხალიც ამოვარდა და მაგრადაც იჭეჭა.

ძალიან აცივდა, პაკის ასე არასდროს შესცვივინია, მთელი ტანით კანკალებდა. წვიმის წვეთებს ხელ-ფეხი ერთიანად გაეყინათ.

— მთლად გავქვავდი, ვეღარც ხელს ვამოძრავებ, ვეღარც ფეხს, — თქვა ყინულის ბურთულად გადაქცეულმა პაკიმ.

— მეგობარო, ჩვენ სეტყვის ბურთულადად გადავიქცით, ახლა ქარიშხალი ღრუბლიდან გადაგყვრის. ძირს დაცემისას, თუ რბილად ადგილას არ დავარდი, შეიძლება, ნამსხვრევებად იქცე, — შეჰყვირა გამოცდილმა წვიმის წვეთმა.

პაკი, მინდორში, მაღალ ბალახებში გაკეთებულ მწყერის ბუდეში, შავ და ყავისფერ ლაქებიან კვერცხებს შორის ჩაეცა. მწყერის შვილებს კვერცხის ნაჭუჭის გამოტეხა უკვე დაეწყოთ და მალე ხუთი ნახევრად შეზუმბლული მწყერის ბარტყები პაკის გარშემო შემოეწყვენენ.

— დედა, რა ცივი ხარ? — ჰკითხა ერთმა მათგანმა.

— მალე გავთბები. მოდი, სახელებს დაგარქმევთ. შენ, ყველაზე მეტიჩარავ, პიჩის დაგიძახებ, შენ — რიკოს, შენ — მიკოს, შენ — პიპოს, შენ კი — ბამბის.

ყინულის ბურთულად გადაქცეული წვიმის წვეთი ღუნულა მოუსვენარმა ბარტყებმა დაადნეს და პაკი კვლავ წვიმის წვეთად იქცა.

უცებ გულგახეთქილმა დედა მწყერმა მოიბრინა და შევებით ამოისუნთქა:

— ჩოჩორები გამორჩევილან!

— ვინ გამორჩევილან? — გაიკვირვა პაკიმ.

— ისიც არ იცი, რომ მწყერის შვილს ბარტყი კი არა ჩოჩორი ჰქვია. ჩემ შვილებს რას ჩახუტებიხარ? თან წყალიც მწყურია, ახლავე გადაცვლაპავ, — და ის იყო მწყერს პაკისთვის ნისკარტი უნდა ჩაეკრა, რომ ჩოჩორები წყლის წვეთს გადაეფარნენ.

— პაკი ჩვენი დედაა, თავი დაანებე! — შეჰყვირეს ერთხმად.

მწყერი ჩაფიქრდა, მერე კი პაკის დატკბილული ხმით უთხრა:

— რაკილა ჩემმა შვილებმა ასე შეგიყვარეს, მათ გაზრდაში მომეხმარე.

— კარგი. ერთად გავზარდოთ ჩოჩრები, — გაეღიმა პაკის.

პატარა ჩოჩორები პაკის და დედა მწყერს სულ უკან დასდევდნენ. მოუხედავად იმისა, რომ მალევე მიხვდნენ, მათი ნამდვილი დედა ვინც იყო, წვიმის წვეთი მაინც ძალთან უყვარდათ.

პატარა მწყერები გრძელ ფეხებზე კარგად დარბოდნენ, ფრენა კი მაინცდამაინც არ უყვარდათ.

ერთ დღილთ პაკის ბუდესთან გამოელვინა, გაიზმორა, გვერდით გადაბრუნდა და არნახული სილამაზისგან ღამის სუნთქვა შეეკრა — ბურქებში მოქსოვილ ობობას ქსელზე მზის სხივებზე აბრწყვიალებული წამის წვეთები მარგალიტის მძივებზე იყო ასხმული.

პაკი ყურებით გაერთო და ვერ შენიშნა, ბუდეს როგორ ეპარებოდა ეშმაკი მელა. ჩოჩრებმა ინივლეეს:

— პაკი, გვიშველე, მელა გვიახლოვდება!

პაკიმ ახლალა დაინახა მელა, რომელიც ტურების ლოკვით მოიპარებოდა.

— ჭეჭა-ჭეხილო ბახვა, პატარები დაიცავი. ერთი ისეთი დაიგურახუნე, რომ მელას შიშისაგან თავზარი დაეცეს! — სასონარკვეთილმა პაკიმ ცას ასძახა.

ამასობაში დედა მწყერიც მოვარდა და შვილებს გადაეფარა.

მელას ჩაეცინა, მაგრამ ბახვამ ღონივრად რომ დაიგრილა, სახე შეეცვალა და ადგილზე გაქვავდა, თუმცა უკან დახევას არ აპირებდა. მაშინ ბახვამ ერთი ისეთი დაიგურახუნა, ღამის მინა იძრა და მთებს ექოდ მიანყდა. შეშინებულ მელას სახეზე მიტკლისფერი დაეფო, სწრაფად შებრუნდა და კულამოძუებულმა მოკურცხლა.

დედა მწყერს, ამ ამბის შემდეგ, პაკი კიდევ უფრო შეუყვარდა.

ჩოჩრებმა ფრენა ისწავლეს და თბილ ქვეყნებში გამგზავრების დღეც დადგა. პატარები პაკის სიყვარულით გადაეხვივნენ, დედა მწყერმა კი ცრემლებისგან თავი ვერ შეიკავა.

— პაკი, ჩემს შვილებს ნამდვილი დედობა გაუნე. არასოდეს დაგივინებო, — თქვა გულდათუთქულმა დედა მწყერმა.

ატირებულმა პიჩიმ, რიკომ, მიკომ, პიპომ და ბამბიმ წვიმის წვეთი სათითაოდ გადაკოცნეს და დედისთან და სხვა მწყერებთან ერთად გაფრინდნენ.

მარტოდ დარჩენილი პაკი მწყერების გუნდს მანამ გაჰყურებდა, სანამ თვალს არ მიეფარნენ, მერე კი ემყოფილი პაკი ნისლად იქცა და ღრუბლებში გაუჩინარდა.

ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო საქართველოს მხარეალთა სასახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი ჟურნალისტი თამარ ყურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940



9 1 7 7 2 3 4 6 1 7 9 4 0 0 4